# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 101 შაბათი, 9 მაისი 1909 წ. № 101

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათ[illegible] დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარეთ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



THE ROYAL VIO

TRADE MARK

ნიკიტინის ცირკის შენობაში შაბათს, 9 მაისს

დიდი წარმოდგენა

(ამას გარდა ერთი წარმოდგენა იქნება).

**საზოგადოების საყურადღებოდ:** წარმოდგენის პროგრამმა შედგენილია ჩვენის თეატრის რეპერტუარის საუკეთესო ნომრებისაგან.

**ანონსი:** ხვალ, კვირას, 10 მაისს, ორი უკანასკნელი გამოსათხოვებელი წარმოდგენა. (1—6.—1)



ნინო თეოდორეს ასული და სოფრონ ზ ქარიას ძე მგალობლიშვილები შვილებითურთ უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას და დაუვიწყარ ვილის, ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტის

## ლ ე ო ს ა ს.

გამოსვენება კვირას, 10 მაისს, დილის 10 საათზე, საკუთარ ბინიდან (მიხეილის პროსპ. სახლი № 78) წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ჩულურეთს, ხოლო იქიდან კუკიის წმ. ნინოს მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე დასაკრძალავად. პანაშვიდი დღეს, 9 მაისს, ორჯელ ნაშუადღევის 1 ს. და საღამოს 7 საათზე. (1—1)



7 მაისს უდროოდ გარდაიცვალა ტფილისში

## ლეონიდ კიზირია,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობლები მიცვალებულისა **ალექსანდრა** და **პავლე კიზირიები,** დები **ელენე კიზირია** და **ბარბარე ალ იბაია** და ძმები **ალვიპი** და **ანატოლი კიზირიები.** მოსვენება ცხედრისა ქუთაისის რკინის გზის სადგურზე 8 მაისს, დილის 10 საათზე. გამოსვენება სახლიდან (აბულაძის ქუჩა) მთავარ ანგელოზის ეკლესიაში კვირას, 10 მაისს, დილის 9 საათზე, და დაკრძალვა ამავე დღეს საფირჩხის სასაფლაოზე, ქუთაისში. (1—254—1)



შაბათს, 9 მაისს,

## დავით ივანეს ძე აბაზაძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, დ. სურამში ურთხვის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე, შვილები, ქალები და სიძე განსვენებულისა. (1—252—1)



ძმები **არსენ** და **სვიმონ ანდრიას ძენი მახარაძეები** და მეუღლე **ასინეთ მახარაძისა** აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 10 მაისისთვის დანიშნულია მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

## ლუკა ანდრიას ძის მახარაძის

სულის მოსახსენებლად წირვა და შემდეგ პანაშვიდი გადახდილი იქმნება ტფილისში, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. (2—250—1)



## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

კვირას, 10 მაისს, 1909 წ. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

## მეზობლები

პიესა 4 მოქ. ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გოგოლაშვილი, რომანიშვილი, საგინაშვილი, ქიქოძე და ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ანანიაშვილი, ბაქრაძე, გოცირიძე, გვარამე, იმედაშვილი, ხახანაშვილი, ჩაგუნავა და თუმშელაშვილი.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზე.

ბილეთები გაიყიდება ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრის კასსაში ყოველ-დღე:—დილით 12—2 ს. და საღამოთი 6—8 საათზე.

ბილეთები ღირს ერთი შაურიდან დაწყებული ათ შაურამდე.

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა კვირა საღამოს, 24 მაისს „სულელი".

ქართული სახალხო სექცია **დაბეჯითებითა** სთხოვს საზოგადოებას წესიერების დასაცველად **სხვის ადგილებზე** უ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში მოყვანა სრულებით აღკრძალულია. (1—1)



**წარმოდგენა № 2.** ## ქართული თეატრი **წარმოდგენა № 2.**

დაკლებულის ფასებით

შაბათს, 9 მაისს, 1909 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება **ახალი პიესა ტრ. რამიშვილისა**

I

## საბედისწერო დამბაჩა

დრამა 3 მოქმედებად.

II

## ბეურა-აღა და შანტაჟისტები

ხუმრობა 1 მოქმ. ნამისა.

მონაწ. მიიღებს მთელი ამხანაგობა. **დასაწყისი საღამოს 8½ საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენა „სად მიხვალ"?. „ღალატი".

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**



**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან ხნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გირონი, N 9. (უ)

**ექიმი ვ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 59)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბრონსის ქუჩა, N 11. (75—73)



## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2¼—4 ს.

**კალამქაროვი**—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგუსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. 10½—11½ ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 11½—12½ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

**პივარსკი**—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—36)



ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. კნფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—56)



**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხაროვსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აზოვრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—141)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—117

**ექიმი** ქუთაისში **მ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)


## ტფილისი, 9 მაისი

ადგილობრივ სასამართლოს რეფორმა, რომლის განხორციელებას ეპირება სათათბირო, ერთ უმთავრეს და უსაჭიროეს საკანონმდებლო აქტად უნდა ჩაითვალოს. მისი საჭიროება ძველ რეჟიმის დროსაც იყო აღიარებული: ვიტტეს ცნობილმა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა განსაკუთრებულმა საბჭომ, ადგილობრივ კომიტეტების ერთსულოვან მოთხოვნის თანახმად, განაცხადა ადგილობრივ სამართლის საქმის რეორგანიზაციის აუცილებლობა. რამდენისამე წლის შემდეგ მთავრობა კიდევ შეუდგა პროექტის შემუშავებას და მეორე სათათბიროს მოწვევისათანავე კანონ-პროექტი კიდეც წარუდგინა მას. მეორე სათათბიროშ მაშინვე აირჩია დიდი კომისია, 33 კაცისაგან შემდგარი ი. გესსენის თავმჯდომარეობით, და დაავალა მას საქმის ბეჯითი განხილვა და თან დაჩქარებაც. კომისიამ რამდენსამე თვეში დაასრულა პროექტის განხილვა-შესწორება და მოხსენების დამზადება. მაგრამ სწორედ ამ დროს სათათბირო დაითხოვეს. მესამე სათათბიროსთვის მთავრობამ ზოგი ცვლილება შეიტანა თავის პროექტში და ისევ წარადგინა. აქაც არჩეულ იქმნა დიდი კომისია შუბინსკის თავმჯდომარეობით, რომელიც ერთ წელიწადზე მეტს მუშაობდა და მხოლოდ გასულ მარტში დაამთავრა საქმე. განზრახული იყო ამ სესსიაშივე განეხილათ და დაემტკიცებინათ კანონ-პროექტი, მაგრამ, რადგან იგი ერთობ რთული და დიდია, ჰფიქრობენ, რომ ველარ მოასწრებენ. ყოველ შემთხვევაში ადგილობრივ სასამართლოს რეფორმა პირველ მთავარ მორიგ საქმედ არის აღიარებული.

ეს ასეც უნდა იყოს, რადგან, თვით პროექტის ავტორთა სიტყვით, რუსეთში ამ ჟამად არც-კი არსებობს ადგილობრივი სასამართლო. ხალხისაგან არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ ალექსანდრე მესამის რეაქციონურ ხანის დროს, ადგილობრივ სამართლის საქმეს აწარმოებენ სოფლის სასამართლოები და საერობო უფროსები, რომელთაც სრულებით დაჰკარგეს ხალხის ნდობა და გააუქმეს მართლმსაჯულება სოფლად. ახალ პროექტს მიზნად აქვს მოსპოს ახლანდელი აჭრელებული ადგილობრივი სასამართლო და დაუბრუნდეს 1864 წლის ლიბერალურ სასამართლო დებულების პრინციპებს: ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეთ ირჩევს ადგილობრივი თვითმმართველობა და ისინი დამოუკიდებელნი არიან ადმინისტრაციისაგან. მართალია, მესამე სათათბიროსთვის მთავრობამ შესცვალა თავისი პროექტი ზოგ რეაქციონურ დამატებით:—შეზღუდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი, ასწია ქონებრივი ცენზი და სხვა,—მაგრამ განზრახული კანონი მაინც დიდმნიშვნელოვანი იქნება, რადგან სამართლის საქმეს ხალხს დაუახლოვებს და პოლიციის ზედგავლენას ააშორებს.

ამით აიხსნება ის ინტერესი, რომლით მოწინავე საზოგადება და პრესსა ეკიდება ამ საქმეს: რუსეთის სახალხო წარმომადგენლობის პირველ უდიდეს საკანონმდებლო აქტად ჩაირიცხება ადგილობრივ სასამართლოს რეფორმაო. მით უფრო აღსანიშნავი ის ფაქტი, რომელზედაც ჩვენ გვინდა მივაქციოთ მკითხველთა ყურადღება. „პირველი უდიდესი საკანონმდებლო აქტი რუსეთის სახალხო წარმომადგენლობისა" განაპირა ქვეყნებზე გავრცელებული არ იქნება. ამიერ-კავკასია, ციმბირი, თურქესტანი და ზოგი განაპირა გუბერნია ევროპის რუსეთისა სრულიად არ არიან მოხსენებულნი პროექტში. პირველს, შეუსწორებელს პროექტში გატარებული იყო ის აზრი, რომ ახალი ადგილობრივი სასამართლოს ინსტიტუტი შემოღებული იქნება ყველგან, სადაც საერობო თვითმართველობა არსებობს ან დაარსდებაო. მაშასადამე, არც ხსენებული განაპირა ქვეყნები იყვნენ გამორიცხულნი, რადგან ერობა ამ ქვეყნებში, დღეს იქნება თუ ხვალ, შემოღებულ უნდა იქმნას. ახალს პროექტში ეს პრინციპი უკვე დარღვეულია. იქ პირდაპირაა ნათქვამი, რომ ადგილობრივ სასამართლოს რეფორმა განხორციელებულ იქნება შემდეგში კიდევ დასავლეთ მხარის 9 გუბერნიაში, როცა იქ ერობას შემოიღებენო. ამ განმარტებით ცხადათაა აღიარებული, რომ დანარჩენ განაპირა ქვეყნებში რეფორმას არ შემოიღებენ, თუნდაც იქ ერობა დაწესდესო. ცხადია, ესეთი შესწორებაც მთავრობამ მესამე სათათბიროსთვის შეთხზა: ჭეშმარიტი რუსნი სადაც ხელმძღვანელობენ, იქ არა-რუსთა საჭიროებაზე ლაპარაკი და ზრუნვა როგორ შეიძლება!.. მართალია, ჩვენში მომრიგებელ სასამართლოს დებულება არსებობს, მაგრამ მომრიგებელ მოსამართლეთ მთავრობა ნიშნავს და არა ხალხი ირჩევს, მისი კომპეტენციაც შეზღუდულია, მისი დამოუკიდებლობაც არ არის უზრუნველყოფილი; ასე რომ, ჩვენში ამ საქმის რეფორმა არა ნაკლებ საჭიროა, ვიდრე რუსეთში, და ამიტომ სხვით არაფრით არ აიხსნება განაპირა ქვეყნების გამოტოვება, თუ არ იმ შოვინისტურ პოლიტიკით, რომელსაც აწარმოებენ რუსეთის სახელმწიფოს სვებედის დღევანდელი გამგენი...

ეს პირველი მაგალითი უტყუარი ნიშანია იმისა, რომ მომავალშიაც მესამე სათათბიროს უმრავლესობა და დღევანდელი მთავრობა მოურიდებლად აგვაშორებენ ყველა თვალსაჩინო რეფორმებს, რომელთაც გაიმეტებენ შიდა რუსეთისათვის.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„წყალ გაღმა მოედავე და გამოღმაც შენ დაგრჩება". სწორედ ამ ტაქტიკას ადგია ამიერიდან კარგად ცნობილი ივანე გრიგორის ძე ხაჩატუროვი. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ივ. ხაჩატუროვმა რიხიანი წერილი დაბეჭდა და იმის მაგიერ, რომ პირდაპირ და გადაჭრით განეცხადებინა—სთქვა თუ არა ის საზიზღარი სიტყვები, რომელმაც სამართლიანად აღელვა ყველა, პირიქით „ზაკავკაზიე-"ს მოედავა, პროვოკაციის ეწევი და ორ მეზობელ ხალხს ამტერებო. ი. ხაჩატუროვს ბრალსა სდებენ და ის კი „ორ მეზობელ ხალხს" იხვევს ხელზე. თუ მივიღებთ მხედველობაში მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, ადვილად მივხვდებით, საით მხარეს არის პროვოკაცია, და ვინ ამტერებს ორ მეზობელ ხალხს. ჩვენ მაინც ველით, რას იტყვის კიდევ ბ-ნი ხაჩატუროვი, თუმცა არ შეგვიძლიან არ ვაღვიაროთ, რომ იმის წინანდელ პასუხიდანაცა სჩანს, რამდენად მართალია იგი. სხვათა შორის სწერს: ვის რა საქმე აქვს, კერძო ლაპარაკში მე რას ვიტყვიო. ესე იგი: მართალია, ვთქვი ეგ სიტყვები, მაგრამ კერძო ლაპარაკი იყო მახლობლებთან და ამიტომ არავის ამასთან საქმე არა აქვსო. ივ. ხაჩატუროვის სიმართლეს ისიც ამტკიცებს, რომ მისმა ძმამაც კი ქრისტეფორე ხაჩატუროვმა, „ტიფ. ლისტოკის" გამომცემელმა და ნამდვილმა ბატონ-პატრონმა, ითაკილა ძმის საქციელი, უკვე ჩამოართვა მას გაზეთის რედაქტორობა და გუშინწინდელი ნომერი „ტიფ. ლისტოკ"-ისა თვით ქ. ხაჩატუროვის რედაქტორობით გამოვიდა. ვიმეორებთ, ვნახოთ რას იტყვის საბოლოოდ ივ. ხაჩატუროვი.

* * *

„ჩვენი აზრის" მერვე ნომერში ერთი მეტად საზიზღარი ამბავია აწერილი. აი რას ამბობს, სხვათა შორის, ავტორი:

ჩვენ, პატარა მოსწავლეებს (ზშირად ჩვენ მოზრდილ ამხანაგებსაც) მოსვენებას არ გვაძლევს ვიღაც ივანე მ—ვი თავის ცინიკურ და უსინდისო წინადადებით. ამ ვაჟბატონს, რომელიც მთელ ტფილისში და უმეტეს ნაწილათ მოსწავლეთა შორის, «ხამის» სახელით არის ცნობილი, თავის სამოქმედოდ ასპარეზათ გაუხდია არტისტულ საზოგადოების თეატრი; უფრო ხშირათ კი ამ თეატრის გალერეიაში აკეთებს ის თავის შავ საქმეებს. ამ ორიოდე თვის წინად ჩვენ მოსწავლეებმა, ასეთი სცენა ვნახეთ: დილის წარმოდგენა იყო. ბილეთების კასასთან ვიდექით. „ხამი" ამოეჩხირა გვერდით ერთ პატარა, 13—14 წლის გიმნაზიელს, რომელიც იქვე ბილეთს ჰყიდულობდა და მუსაიფი გაუმართა. „ნეტავი დღეს რა დგამენ? შეეკითხა ის გიმნაზიელს. მანაც პასუხი გასცა. პირველ კითხვას მეორეც თან მოჰყვა, მეორეს—მესამე და ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ამ ვაჟბატონმა ყმაწვილი ხილებსა და ტკბილ სასმელებზე მიიპატიჟა, ყმაწვილიც დასთანხმდა და გაჰყვა. ამის შემდეგ რაც უნდა მომხდარიყო, ეს ყველასათვის ადვილი გასაგებია...

მეორე ჯერ იმავე თეატრში მოწმენი ვიყავით შემდეგი აღმაშფოთებელი სცენისა. გალერეის ნაზევრათ ბნელ კიბეზე მან დაიჭირა კომერციულ სასწავლებლის მოწაფე, გადაკოცნა და უცბათ თეატრში შეირბინა. მას უკან დაედევნენ შეურაცხყოფილი მოსწავლის ამხანაგები. ასტყდა ერთი აურზაური. პოლიციელებმა მოსწავლეები დაარწმუნა, რომ „ხამი" უკვე საპოლიციო განყოფილებაში წაიყვანეთ და საქმე ამით გათავდა. საჭირო რომ იყოს, ასეთ მაგალითებს ბევრს მოვიყვანდით. ეს ვაჟბატონი ისევ ისე განაგრძობს თავის სასაძაგლო საქმეს. ჩვენ ვიცით, რომ იგი რყვნის და ღუპავს პატარა, გულუბრყვილო, ცხოვრებაში გამოუცდელ ბავშვებს, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს შეძლება, რომ ამ საზოგადოების პარაზიტის მავნე მოქმედებას შევებრძოლოთ. ერთად-ერთი იმედი გაზეთზე დაგვრჩენია, თუმცა ვერ დავმალავთ რომ ამ ბოლოს დროს არც ეს საშუალება გამოგვადგა. რამდენიმეჯერ მივმართეთ ადგილობრივ გაზეთებს, მაგრამ ხმა ვერავის ამოვაღებინეთ.

მართლაც რომ საზიზღარი ამბავია და საზიზღარი უფრო იმიტომ, რომ დღემდე ეს კაცი თავისუფლად დათარეშობს და მისი ალაგმვა არავინ იკისრა.

რაც შეეხება გაზეთების მიმართ საყვედურს, ჩვენ შესახებ ეს საყვედური უსამართლოდ მიგვაჩნია: ჩვენთვის არც სიტყვიერად მიუმართავს ვისმეს, არც წერილობით და არც გაგვიგია რამ ამ ამბის შესახებ.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 მაისი

### ო ს მ ა ლ ე თ ი

**ვენა.** კორესპ.-ბიუროს სალონიკიდან ატყობინებენ: არქიპელაგში მდგომ გემების უფროსებს კვლავ მოუვიდათ ბრძანება, მიიღონ ზომები კონდრაბანდად იარაღის შემოტანის წინააღმდეგ. ოსმალეთის გემების მოახლოვების დროს ბერძნების ორმა ნავმა იარაღი ზღვაში ჩაჰყარა. ოსმალეთის სამი ნაღმოსანი მორიგეობით მუდამ დარაჯად იდგება სალონიკის სრუტეში. ამ ნაღმოსნებმა ალატინის ვილას (სადაც აბდულ-ჰამიდია) უნდა უდარაჯონ.

**ვენა.** „კორესპონდ. - ბიუროს" სტამბოლიდან ატყობინებენ: ავსტრო-ჰუნგრეთის იმპერატორმა ფრანც იოსებმა სულთან მაჰმუდ მეხუთეს დეპეშა გაუგზავნა. დეპეშაში აღნიშნულია ოსმალეთის და ავსტრიის მეგობრული განწყობილება. სულთანმა თავის მხრივ დეპეშა გაუგზავნა ფრანც იოსებს.

**სტამბოლი.** რიფაატ-ფაშამ ბოლგარიის გარეშე საქმეთა მინისტრ ლიაპჩევს შეატყობინა, რომ ოსმა-


## შპალიერი ძმ. ტარნოპოლსკის

ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (25—6—7)



ქ ა რ თ უ ლ ი

## ხალხური სიმღერები და ლექსები

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ლექსები შეკრებილი და ნოტებზე დაწყობილი ი. კარგარეთელის მიერ. წიგნის ფასი 50 კ. (5—2)

ლგთ-ბოლგარიის შეთანხმების განაჩენი დამტკიცდაო. რიფაატ-ფაშას ესევე შეატყობინა ლიაპჩევმა.

დეპუტატთა პალატა ვერ დააკმაყოფილა ფინანსთა მინისტრის განმარტებამ იმის შესახებ, თუ რატომ არ გაეგზავნა ანატოლიის დაზარალებულ ქრისტიანებს 100,000 ოსმალური გირვანქა. ამიტომ პალატამ დაადგინა, ფინანსთა მინისტრის გარდა პირადი განმარტება მოსთხოვოს შინაგან საქმეთა და მიწათ-მოქმედების მინისტრებს.

პალატამ მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც იმ პირთ, რომელთაც ხაზინაზე რაიმე საჩივარი აქვთ, ორი თვის განმავლობაში აღძრან ეს საჩივარი. რაკი ეს დრო გაივლის, საჩივარს ძალა აღარ ექნება.

**სტამბოლი**. „ტანინი" და „იენი გაზეტა" თავიანთ მეთაურ წერილებში ურჩევენ სამინისტროს, ჩქარა გაათავეთ მინისტრის ამხანაგების საკითხიო. გაზეთები სამინისტროს აფრთხილებენ, იცოდეთ, ამ საკითხის კარგად გადაწყვეტაზეა დამოკიდებული პალატის ნდობის გამოცხადებაო.

„ოსმანიშერ-ლლოიდი" სწერს, რომ მერსინაში ცუდად მიდის საქმეო. ქურთები აღელდნენ და ქრისტიანებს ემუქრებიანო.

**სტამბოლი**. დეპუტატთა პალატა დღეს არჩევდა კანონს პრესსის თავისუფლების შესახებ. 12 საათსა და 14 წ., ერთის საათით წინ დანიშნულ დროზე, დეპუტატთა პალატაში ცნობა მიიღეს, რომ სულთანი სტამბოლში მივიდაო. სულთანი დოლმა-ბახჩეს სასახლიდან ზღვით მივიდა ძველ სასახლეში, ხოლო იქიდან ეტლით მივიდა პარლამენტში, სადაც სენატორებმა და დეპუტატებმა ხელდახელ შეადგინეს ეროვნული კრება და სხდომის დარბაზში ელოდებოდნენ სულთანსა. თავმჯდომარეობდა საიდ-ფაშა, თავმჯდომარის ამხანაგად იყო ახმედ-რიზა. სულთანი რომ მივიდა, მუსიკა უკრავდა, ხალხმა ოვაცია გაუმართა. მას მიეგებნენ საიდ-ფაშა და ახმედ-რიზა. სულთანი შევიდა დარბაზში და სავარძელზე დაბრძანდა თავმჯდომარის ტრიბუნაზე. დეპუტატები ტაშის ცემით მიეგებნენ სულთანს. დიდმა ვეზირმა, რომელიც მის გვერდით იდგა, წაიკითხა სეფესიტყვა: „ხალხის წყალობითა და ნებითა ავედ რა ტახტზე, რომლის კანონიერი მემკვიდრე ვიყავ, დღეს გულით მიხარიან, რომ თქვენ შორის ვიმყოფები. სრული იმედი მაქვს, რომ ჩემთან ერთად მთელი ერიც დარწმუნებულია, რომ ოსმალეთის ხსნა და თქვენი გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე, რომ სყრიოზულად განხორციელდეს კონსტიტუცია, რომელიც უეჭველად ეთანხმება შარიატსა და პროგრესიის კანონებს. ამ რწმენით მე ვიშრომებ ყველასთან ერთად ყველა ჩემ ქვეშევრდომთა საკეთილდღეოდ, განურჩევლად მათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ღმერთსა ვსთხოვ, რომ შეგვაძლებინოს ამ დიად საქმის აღსრულება (ტაშის ცემა). ჩვენი სამშობლო, რომელმაც დიდი წამი გამოიარა, ეხლა ძლიერ უნდა ეცადოს დაკარგული დრო მოიგოს, მას ეხლა, მეტად სჭირია ყველა თავის შვილის პატრიოტიზმი და ერთობა. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ოტტომანი მთელს თავის მეცადინეობას მოახმარებს ამ საქმეს. მე ძლიერ გამამწარეს ადანის ამბებმა. ეხლა ეს ამბები გათავდა, დამნაშავეები დასჯილ იქმნებიან, ხოლო დაზარალებულნი დაკმაყოფილებულ იქნებიან. ღვთის შეწევნით, ამიერიდან აღარ მოხდება ასეთი ამბები, წინააღმდეგი სარწმუნოებისა, მამულიშვილობისა და ერთობისა. ჩემი სურვილია—ამის თაობაზე მიღებულ იქნას შესაფერი ღონისძიება. რათა ეროვნებათა შორის შული მოისპოს და ხალხი ბედნიერ იყოს, აუცილებლად საჭიროა ადმინისტრაციისა, სასამართლოს და ფინანსების რეფორმა, საჭიროა გაძლიერება ჯარისა და ფლოტისა, გაძლიერება ხალხის განათლებისა და მრეწველობისა. მე ველი თქვენი კრების დახმარებას ამ საქმეში (ტაში). ჩვენ მიერ დამტკიცებულმა კონსტიტუციამ მოაწესრიგა ჩვენი გარეგანი მდგომარეობა; უცხოეთის სახელმწიფოებთან კარგი განწყობილობა გვაქვს. ვეცდები, რომ უფრო გავაუმჯობესო ეს განწყობილობა, რაშიაც ღმერთი იყოს ჩემი შემწე". სიტყვის შემდეგ სულთანმა სთქვა: „მე უკვე მივიღე ფიცი კონსტიტუციის ერთგულებაზე, როდესაც ტახტზე ავედ, ეხლა თქვენთან ერთად ვიმეორებ ამავე ფიცსა". დეპუტატებმა ზეზე მდგომებმა მოისმინეს სულთნის სიტყვა და ფიცი. გაისმა ხანგრძლივი ტაში და ძახილი: „ფადი შაჰ გაუმარჯოს". სულთანი გადავიდა თავის ლოჟაში. საიდ ფაშამ და ახმედ-რიზამ რიგ-რიგად წაიკითხეს ფიცი: „ვფიცავ ერთგული ვიყო სულთნისა, სამშობლოსი, ეროვნებისა, კონსტიტუციისა და ჩემის მოვალეობისა. ვალლახი, ვალლახი". სენატორებმა და დეპუტატებმა დიდი ვეზირის წინა გაიმეორეს ეს ფიცი. სენატორებში პირველმა დაიფიცა გაზი-მუხტარ-ფაშამ. ფიცის მიღებას დაესწრო ყველა მინისტრი. სულთანს ეცვა მარშლის მუნდირი. ლოჟაში სულთანთან ერთად ისხდნენ ორი მისი ვაჟიშვილი სამხედრო ამალა. ფიცის მიღების შემდეგ, ეროვნულმა კრებამ დაადგინა, განსაკუთრებული დეპუტაცია გავუგზავნოთ სულთანს მადლობის გადასახდელადო. სხდომა 10 წამით შესწყვიტეს. სულთანი დაესწრო პალატის ჩვეულებრივ სხდომას, მოისმინა კამათი პრესსის თავისუფლების კანონ-პროექტის შესახებ და შემდეგ ძველ სასახლეში წავიდა. დეპუტატებმა ოვაციითა და ტაშით გააცილეს სულთანი. ეტლში მასთან იჯდა გაზი-მუხტარ-ფაშა, ეტლს ახლდნენ მახმუდ-შევკეთ-ფაშა და ორი ესკადრონი ულანი. ქუჩები გაჭედილი იყო ხალხით. სამხედრო ორკესტრები უკრავდნენ ახალ „რეშადის მარშს".

**სალონიკი**. დიბრიდან იუწყებიან: ალბანელები ქალაქის თავდასხმას უპირებენ. მაჰმადიანებმა და ქრისტიანებმა მონასტირის ვალის და ახალგაზდა ოსმალთა ცენტრალურ კომიტეტს სთხოვეს, ჯარი გამოგზავნეთ ქალაქის დასაცველადაო.

ფინანსთა მინისტრის განკარგულებით, კონფისკაცია უყვეს აბდულჰამიდის იმ მამულებს, რომელიც სალონიკის ვილაეტშია. მამული სახელმწიფოს საკუთრებად აღიარეს.

ამ უკანასკნელ დროს მაკედონიაში მყოფი საბერძნეთის კომიტეტები დიდ მუყაითობას იჩენენ. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის საზღვრებს დიდი ყურადღება აქვს მოქცეული, საბერძნეთიდან მაკედონიაში მაინც დიდ-ძალი იარაღი შემოიტანეს.

პირველ მაისს მონასტირის მახლობლად ბერძნებმა მოჰკლეს ორი ექზარხისტი (ბოლგარები). ამავე დღეს სოფ. ლიხოვის მახლობლად ბერძნებმავე დასჭრეს ერთი ექზარხისტი. დააპატიმრეს ბერძენი-მღვდელი.

**სალონიკი**. მაკედონიის ჟანდარმერიის უფროსი, იტალიელი გენერალი რობილანტი, დაინიშნა მთელის ოსმალეთის ჟანდარმერიის უფროსად. რობილანტი ამ დღეებში წავა სტამბოლში. აუქმებენ მაკედონიის ჟანდარმერიის ცენტრალურ მმართველობას.

იუსუფ-ფაშა, რომელიც რეაქციონერებმა სტამბოლის აღელვების შემდეგ ალბანიაში გაჰგზავნეს ალბანელების ასაღელვებლად და როაელიც ახალგაზდა ოსმალებმა სადგურ კილინდარაზე შეიპყრეს, დღეს გამოტყდა, რომ რეაქციონერებმა ალბანიაში ხალხის ასაღელვებლად გამგზავნესო. იუსუფ-ფაშა 16 რეაქციონერით სტამბოლში გაგზავნეს. იუსუფ-ფაშას 41,000 ლირა აღმოაჩნდა.

## ს პ ა რ ს ე თ ი

**ლონდონი**. „რეიტერის" სააგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: ახალ საარჩევნო კანონის მიხედვით, დეპუტატთა რიცხვი მცხოვრებათა რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული. წინანდელ საარჩევნო კანონით კი მცხოვრებნი კლასებად იყვნენ დაყოფილნი და თითო კლასი ცალკე ირჩევდა თავის წარმომადგენელს. ეხლა ასე აღარ იქნება. თეირანიდან 12 დეპუტატს აირჩევენ, წინად თეირანი 60 დეპუტატს ჰგზავნიდა მეჯლისში. სპარსეთის ყველა დიდმა ქალაქმა აღიარა რევოლიუციონერთა თეირანელ კომიტეტის ავტორიტეტი. ამბობენ, ნაჯეფის სამღვდელოებამ მოიწონა რევოლიუციონერების თეირანელ კომიტეტის მოქმედებაო. რევოლიუციონერების თეირანელმა კომიტეტმა თვითონ მიმართა ამ თხოვნით ნაჯეფის სამღვდელოებას.

**თავრიზი**. ენჯუმენმა მოწოდება გამოსცა. მოწოდებაში ნათქვამია, რომ რუსეთისა და ინგლისის ელჩების განცხადებით, რუსის ჯარი უცხოეთის ქვეშევრდომთა დასაცველად ჩამოვიდაო. ამასთან რუსის ჯარის მიზანია, დაიცვას თავრიზი იმ შემთხვევაში, თუ შაჰის ჯარი ქალაქში შევა და ქალაქის აღებას მოინდომებს. რუსები, ნათქვამია მოწოდებაში, ჩვენი მეგობრები არიან და ამიტომ მათ კარგად მოეპყარით და ნურაფერს აწყენინებთო.

**რუსის ჯარის ბანაკი** (თავრიზიდან). რუსის ჯარის ბანაკში მოვიდნენ კავკასიის ჯარის ინტენდანტი აგაპეევი და საექიმო ოლქის ინსპექტორი შუხოვი. მათ აზრადა აქვთ გაიცნონ, თუ როგორ არის დაყენებული სურსათის და საექიმო საქმეები რუსის ჯარში.

**ელისავეტპოლი**. მდინარე არაქსის სპარსეთის ნაპირიდან სპარსელებმა სროლა აუტეხეს სარაფლინის რუსეთის მოსაზღვრე რაზმს. დაიჭრა ერთი დარაჯი.

## საზღვარ-გარედ.

**პარიზი**. ფოსტის მოსამსახურეთა კრებაზე გადასწყდა გაფიცვის გაგრძელება. გადასწყვიტეს გაიფიცნენ კალატოზების კავშირმა, სამშენებლო მუშებმა და ლითონის დამამუშავებლებმა. ღამე ქუჩებში გააკრეს მუშათა კავშირების ცენტრალურ კომიტეტის მოწოდება, სადაც ნათქვამია, რომ ცენტრალური კომიტეტი მოვალეა გაფიცულებს მთელი ორგანიზაცია დაახმაროს, ამისათვის საუკეთესო საშუალებად საყოველთაო გაფიცვასა სცნობს. ამიტომ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა კავშირს დაუყოვნებლივ მიემხროს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვას და გამოაცხადოს საყოველთაო გაფიცვაო.

**ვენა**. დეპუტატთა პალატამ უარჰყო მასარიკის სასწრაფო შეკითხვა ზაგრების პროცესის შესახებ. მინისტრ-პრეზიდენტი ბინერტი ამტკიცებდა, რომ ყოვლად შეუწყნარებელია ავსტრიის ჩარევა ამ საქმეშიო. ხორვატელი დეპუტატები ახასიათებდნენ ამ პროცესს, როგორც ისეთს, რომელიც მიმართულია სერბია-ხორვატელთა კავშირის წინააღმდეგ. პერნერსტორფერმა სოციალ-დემოკრატების სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა სერბია-ხორვატელთ, რომელნიც შევიწროებულნი არიან მადიარებისაგანაო. ორატორმა სთქვა, სერბია-ხორვატელთ ისეთივე უფლება უნდა ჰქონდეთ მინიჭებული, როგორც სხვა ერებსა აქვთო. ამათი ეკონომიური და სულიერი განვითარება უზრუნველყოფილ უნდა იქნასო.

**ვენა**. ლანდტაგმა დაადასტურა კომისიის დადგენილება, რომ ბერლინიდან არჩეულ 4 სოციალ-დემოკრატ დეპუტატის მანდატები ყალბიაო.

**პარიზი**. მუშათა კავშირების ცენტრალურ კომიტეტის მოწოდებამ გავლენა ვერ იქონია. ცენტრალური კომიტეტი საერთო გაფიცვისკენ იწვევდა მუშებს. ქალაქში მშვიდობიანობაა.

**პარიზი**. მთავარ ტელეგრაფში რვა მოხელე არ გამოცხადებულა. მთავარ ფოსტამტში 5 მოხელე და 49 ფოსტალიონი არ მისულა სამუშაოდ. დისციპლინარულ საბჭოს დადგენილებით, სამსახურიდან დაითხოვეს რკინის გზის მუშათა სინდიკატის მდივანი.

**ნიუ-იორკი** გარდაიცვალა ამერიკის ნავთის საზოგადოების „სტანდარტის" თავმჯდომარე როჯერსი.

**ბერლინი**. ლანტაგის 4 სოციალ-დემოკრატ დეპუტატის არჩევნები უკანონოდ იცნეს, რადგან საარჩევნო სიები წესიერად არ იყო ამორჩეული და ამასთან სოციალ-დემოკრატები აშინებდნენ ამომრჩეველთაო.

პოლიციამ ზომები მიიღო, რომ ლანტაგში დეპუტატების არჩევნების შემოწმების დროს წესიერება ყოფილიყო. ლანტაგის წინ პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი იდგა, წესიერება არავის დაურღვევია.

## რ უ ს ე თ ი

**კიევი**. ბელოკოროვიჩის სადგურის მახლობლად საქონლის მატარებელი ლიანდაგს გადასცდა და დაიმტვრა ექვსი ვაგონი, ხუთი დაზიანდა, მემანქანე დაშავდა.

**რომნი**. გასცარცვეს სოფელ ჩერნეჩეის სოფლის განყოფილება.

**პეტერბურგი**. 6 მაისს ხელმწიფის დაბადების დღის გამოცხადებულ პარაკლისის შემდეგ პეტრე-პავლეს ციხიდან გაანთავისუფლეს გენერალი სტესელი და ადმირალი ნებოგატოვი.

**ტულა**. ოლქის სასამართლოს საგანგებო საკრებულომ წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით გაარჩია საქმე იმ 20 გლეხისა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 1906 წელს დეკემბერში სადგურ ვიჩიგინოში მომხდარ უწესობაში, როდესაც 2000 კაცმა დაიჭირა სადგური და მატარებლების წესიერ მიმოსვლას ხელი შეუშალა. ბრალი დასდეს მე-272 მუხლით, დანარჩენებს—სასჯელთა დებულების მე-38 მუხლით. სასამართლომ ყველანი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ერთი თვიდან სამ თვემდე დაპატიმრება.

**პეტერბურგი**. სათათბიროს საბიუჯეტო კომისიამ მოიწონა კანონპროექტი სამრევლო საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა პენსიის დაარსებულ კანონის შეცვლის შესახებ.

დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა ერთი კაცი. არავინ გარდაცვლილა.

**ვარშავა**. სენდზიშევში საქონლის მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. მატარებლის 4 ვაგონი დაიმსხვრა, დაშავდა კონდუქტორი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი**. შეიპყრეს გლეხი, რომელსაც ბრაუნინგი და წიგნაკები აღმოაჩნდა. გლეხმა პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწია. გლეხი დასჭრეს.

**პეტერბურგი**. ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანებით კაპიტან ბრეზეს, რომელსაც სასამართლომ ჩამოართვა ყოველი უფლება, აზნაურობა, ორდენები და ჩინები და გადაუწყვიტა ერთი წლით ტუსაღის განყოფილება, ეპატია ეს სასჯელი. მას ორი კვირით გაუპტვახტზე დააპატიმრებენ. კაპიტან ბრესეს კაცის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა.

**პიატიგორსკი**. დილით ადგილობრივ საპყრობილიდან ხუთი ტუსაღი გაიქცა. როდესაც გაქცეულებს დაედევნენ, ორი მათგანი მოჰკლეს და ერთიც დასჭრეს; დანარჩენები შეიპყრეს.

**სარატოვი**. აღმოაჩინეს ყალბი ფულის დასამზადებელი ქარხანა. შეიპყრეს სამი კაცი.

ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე 1905 წელს მომხდარ ებრაელების აკლება-აწიოკების შესახებ. სასამართლომ ოთხ კაცს მიუსაჯა დაპატიმრება, ხოლო ორი გაამართლა.

**კრასნოიარსკი**. სოფელ უიარსკიაში შეიარაღებულ მცარცველთა ბრბომ გასცარცვა სოფლის საზოგადოების სამმართველო და 1981 მანეთი წაიღო. წაიღეს პასპორტების ქაღალდები.

**შჩიგრი**. ღამე ხუთი შეიარაღებული კაცი შეუვარდა სადგურზე მოვაჭრეს და მოსთხოვა ფული. ვაჭარი ეზოში შევარდა, მაგრამ სამი ტყვიით იქმნა მოკლული.

## გამოთხოვება
### („ორლეანელ ქალიდან")
თარგმანი

მშვიდობით, მთებო, მშობლიო ველნო,
უკანასკნელად გაძლევთ სალამსა,
დედასავითა ჩემო ალმზრდელნო
უკანასკნელად გაწვდენთ ჩემს ხმასა.
მწვანე მინდვრებო, ტურფა ხეებო,
ყური დაუგდეთ თქვენს უმცროს დასა:
თქვენ გეთხოვებათ სამუდამოდა,
იგი შეუდგა ეკლიანს გზასა.
ამიერიდან ველარა გნახავთ,
უნდა უჩემოდ აჰმწვანდეთ, დასჭკნეთ.
თუ გაყრა თქვენი ასე დამწვავდა,
თქვენთან რად გაჩნდი, თვალით
რად გნახეთ?
ტკბილო ალერსო ქალებისაო,
გულს აღბეჭდილო ამოუფხვრელად;
ხმავ იდუმალო, მანდ მოსეირნევ,
ბევრს უამბობდი გულს მაამებლად.
ნაკადულებო, მოჩანჩქარენო,
კლდეებში გიჟნო, ჰკვიანნო ველად,
გეტყვით: მშვიდობით სამუდამოდა,
უფალი გექმნასთ მფარველად, მცველად;
რაც რამ სიამე თქვენგანა ვნახე,
ეგ არის მორჩა, ველარა ვნახავ.
ჩემო ცხვრის ფარავ, მწყემსი მოძებნე,
მე მგლებისაგან ვერ დაგიფარავ.
ღმერთმა სამწყსოდა სხვა ფარა მომცა:
სისხლით შეღებილს ბრძოლისა ველში
იგი უნდა ვმწყსო, ღვთის ბრძანებაა,
ხმალი მეჭიროს უშიშრად ხელში.
დიაღ, იქ მიმწევს არა ცრუ გრძნობა,
არამედ სხვაა, სულ სხვაა ისა:
ცეცხლ-მოდებული ბარდებიდანა
მოსეს რომ ესმა ქექა იმ ხმისა:
„წადი, ებრძოლე მძლავრს ფარაოსა
„რომ ჩემი ერი არ გახდეს სხვისა".
იგია, ვინაც ჭაბუკს დავითსა
მოჰმნიჭა ძლევა გოლიათისა.
მუხის ქვეშ ვიდექ და ვლოცულობდი
როცა მტკიცედა მანვე მიბრძანა:
„გამოაჩინე ჩემი სახელი,
„ქალო აიღე ხელთ მჭრელი დან;
„ჩაიცვი ჯავშანი, წელზედა ხმალი
„შეიბი, გეგეს თავს მუზარადი
„და ნუ შეჰბღალავს შენს ქალწულებას
„ქვეყნიურ ვნების რაიმე ზადი.
„შენ საქორწინოდ არა გცალიან,
„ოჯახში დასტკბე ქმრით და შვილებით.
„არა, შენთვისა სხვა ბედს ვამზადებ:
„ბრძოლაში იყო გამოჩინებით;
„ყველა ქალებზე საფრანგეთისა
„იხსენებოდე მუდამ დიდებით.
„როცა-კი საქმე იქამდის მივა,
„რომ უშიშარიც ომში მხედარი
„ჰკრთოდეს და პირზე შიშის-ძრწოლისა
„ეფარებოდეს ყვითლად ზეწარი,
„ჩემგან ნაძლევის ორი ფლამითა,
„მტერს უნდა დასცე მაშინ თავზარი;
„შეჰზღუდო მტრისა გულ-ზვიადობა
„და შეუცვალო მღერა გოდებაზე.
„შენ ხსნა ხელო ფრანგთა ლაშქარი
„კარლოსს დაადგა გვირგვინი თავზე
„რეიმსში". ეს თვითონ იმან აღმოთქვა
ცა—ქვეყნის გამგემ, კიდეც ასრულდა.
ამ მუზარადის ჩემთვის მოძღვნითა,
ნება უფლისა დღესვე დამტკიცდა.
შეუდრეკელობა მუზარადს ჰფარავს
განუშორებლად, ვით ქერუბიმი.
სული და გული იქ მიმაქროლებს,
მინდა იქ ვიყო, სადაა ომი.
ხმაა ბრძოლისა... ჯარი გროვდება...
ხმლები ელავენ... ყიჟინა ისმის
საყვირისა და დაფისა ხმაზე,
თვალ-წინ მიდგება, მთა-ბარი იძვრის.
უკვე ასრულდა უფლისა ნება:
სხვის ბატონობა ჩვენ შორის ჰქრება!

**ვაჟა-ფშაველა.**

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **დუშეთის ხაზინის საქმე.** გუშინ, 8 მაისისთვის, დანიშნული იყო გასარჩევად საქმე დუშეთის ხაზინიდან ფულის გატაცების შესახებ. რადგან საჭირო მოწმენი არ გამოცხადნენ, საქმე გადაიდო სხვა დროისთვის. პალატამ დაადგინა, 25 მან. დააჯარიმოს და ძალით მოყვანილ იქმნას მოწმე რევაზ ამირაჯიბი. აგრეთვე განკარგულება მოახდინა, რომ სასამართლოში მოიყვანონ დატუსაღებული ორი მოწმე.

✦ **როტმისტრის დაპატიმრება.** 6 მაისს ყარსში, როგორც გვატყობინებენ, დაუპატიმრებიათ როტმისტრი რეიმერსი. ამ დაპატიმრებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქალაქში. მიზეზი დაპატიმრებისა არ იციან.

✦ **კალია ლილოში.** სოფელ ლილოში კალია გაჩენილა. მოგებულია ზომები იმის მოსასპობლად.

✦ [illegible] კერესელიძემ შარაძიეულ სტამბის ნახევარი (თავისი საკუთრება) შესწირა ქუთაისის სამღვდელოებას. სტამბის ნახევარი დარჩება ტფილისში ლოსაბერიძეს, ნახევარს ქუთაისის სამღვდელოება გადაიტანს გელათში. მთელი სტამბა დაახლოვებით 20,000 მანეთამდე ღირს.

✦ **ქალის მოტაცება.** 7 მაისს, დილის 7 საათზე, ვიღაც უცნობებს ალექსი ფ[illegible]რი ლომშვილისთვის მოუტაციათ 13 წლის ქალი, მარიამი და ეტლით სადღაც წაუყვანიათ. პოლიციამ მალე მიაგნო ბოროტმზრახველების კვალს და დიდუბეში, შერემეტიევის ქუჩაზე (№ 37), იპოვნა ქალი. პოლიციამ აქვე დააპატიმრა ორი მომტაცებელი სიღნაღის მაზრის მცხოვრები ალექსი აკოფაშვილი და ტფ. მცხოვრები ივანე ხიზანაშვილი. პოლიციამ დააპატიმრა აგრეთვე გორის მაზრის მცხოვრები იოსებ ჯიაშვილი, საბურთალოს მცხოვრები სოლომონ ხიზანაშვილი და მეეტლე გრიგორ სოსიანი.

✦ **ამხანაგობა „მეურნე".** ახალსენაკში არსდება ახალი ამხანაგობა „მეურნე". ნამესტნიკმა უკვე დაამტკიცა წესდება ამხანაგობისა.

✦ **მღვდლის მოკვლა.** 3 მაისს ოზურგეთის ახლო სოფელ დუაბზუში ვიღაც უცნობს სასიკვდილოდ დაუჭრია მღვდელი იონა ღლონტი.

✦ **კავკასიის აჯანყება და სპარსეთში ჯარის გაგზავნა.** დიდი ფანტაზიის პატრონნი არიან სათათბიროს მემარჯვენე დეპუტატები. თურმე ნუ იტყვით, სპარსეთში რუსის ჯარის გაგზავნა კავკასიელ რევოლიუციონერთა საქმე ყოფილა. აი რას ატყობინებენ პეტერბურგიდან დეპეშით „კასპ"-ს: უკიდურესი მემარჯვენენი ფიქრობენ, სათათბიროში შეკითხვა შეიტანონ თავრიზში რუსის ჯარის გაგზავნის შესახებ. მემარჯვენენი არწმუნებენ ყველას, რომ ჯარის გაგზავნა მოხერხებაა კავკასიელ რევოლიუციონერებისა, რომელთაც უნდათ ისარგებლონ ჯარის გასტუმრებით და უკვე მომზადებული აჯანყება მოხდინონო.

✦ **სახალხო თეატრი.** კვირას, 10 მაისს, საღამოს $8^1/_2$ საათზე, ქართული სცენის მოყვარეები ზუბალაშვილების სახალხო თეატრში გამართავენ სახალხო იაფ-ფასიან წარმოდგენას. წარმოადგენენ ტრ. რამიშვილის პიესას: „მეზობლები".

✦ **ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართველ მსახიობთა ამხანაგობა იმეორებს ტრ. რამიშვილის ახალ პიესას „საბედისწერო დამბაჩას" და ახალ კომედია-ხუმრობას „გეურქ ალა და შანტაჟისტები".

✦ **ტყე იწვის.** როგორც ბორჯომიდან გვატყობინებენ, მესამე დღეა თურმე იწვის დიდ მანძილზე ტყე აწყურისა და კობილიანის ნაწილებში. გამქრობი არავინა ყოფილა.

✦ 5 მაის ელისაბედის ქუჩაზე (№ 142) ეკატირინა ფონ-ვიხმანის სახლიდან, მის შინ არ ყოფნის დროს, გაუტანიათ სხვა და სხვა ნივთები 70 მანეთისა. ფონ-ვიხმანის ჩვენებით პოლიციამ დააპატიმრა ისაკ თელია. თელია ამას წინად ფონ-ვიხმასთან მოსამსახურეთ ყოფილა.

✦ 6 მაის, დილის 6 საათზე ალექსეი ტრეტჩიკავი მტკვარში ჩავარდა. ტრეტჩიკავი გაადარჩინეს სახინიმა და ვასილ სამადუროვმა.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ **საურთიერთო ბანკი.** კვირას დამთავრდა საურთიერთო ბანკის წევრთა მორიგი კრება. დამტკიცდა ბანკის მოქმედების წარსული წლის ანგარიში და მდგომარე წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა. ეს უკანასკნელი უდრის 20,430 მანეთს. უყურადღებოდ დასტოვეს მოსამსახურეთა თხოვნა ჯამაგირების მომატების შესახებ. უყურადღებოდვე დატოვებულ იქმნა კერძო პირთა თხოვნები ერთდროულ დახმარების აღმოჩენის შესახებ. კრებამ სა-

ჰიროდ დაინახა ნება მისცეს გამგეობას, ვადაგასულსა და პროტესტიან თამასუქებით ფულის შემოტანის გასაძლიერებლად და წევრთაგან ბანკის ძველ ზარალის და ფარავ ფულის გადახდევინებლად მოიწვიოს ახალი ვექილები, რომელთაც უნდა დაენიშნოთ პროცენტული ჯილდო. ძველი ვექილები ისევ თავის ადგილზე დარჩებიან და აწარმოებენ ბანკის საქმეებს სამოსამართლო დაწესებულებებში. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს ისევ დ. ა. ნაზაროვი, დ. ნ. ჩიკვაიძე და ი. ფ. ავსარქისოვი. საზოგადოების საბჭოს წევრებად არჩეულ იქნენ ს. ლ. ბახტაძე და ნ. ს. შარაბიძე, ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად გადაიდო 200 მანეთი. კრებამ დაავალა გამგეობასა და საბჭოს, იზრუნონ ბანკის უძრავი მამულების გაყიდვაზე. ეს მამულები შეფასებულია სულ 140,000 მანეთად, მდებარეობს შუა ქალაქში, პუშკინის ქუჩაზე.

✦ **ქალაქის საბჭო.** 4 მაისს მოხდა ქალაქის საბჭოს მორიგი კრება, რომელმაც, სხვათა შორის, დაადგინა: თანახმად მ. ე. დარახველიძის განცხადებისა, აღიძრას შუამდგომლობა, რომ ქალაქის წყალგაღმა ნაწილში გაიხსნას მეორე სამოსამართლო განყოფილება; მიეცეს ქალაქის ქალთა მეორე სასწავლებლის გამგეს თ. გ. მაჭავარიანის ასულს 100 მანეთი წინდების საქსოვი მანქანის შესაძენად და 100 მანეთი მეხუთე განყოფილებისათვის ზოგიერთ საჭირო ნივთის სასყიდლად. საბჭოს მოხსენდა გამგეობის აზრი შესახებ იმისა, რომ გენერლის ქუჩაზე, მაჭავარიანისეულს ადგილში, ააშენონ ერთი ფურნე, ერთი სავაჭრო დუქანი და ერთი ნავთის საწყობი. ამ შენობების აგება, გამგეობის აზრით, დაუჯდება ქალაქს 2160 მანეთად. ხმოსანთა ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ ამ შენობების აგება კარგ შემოსავალს მისცემს ქალაქს, მეორე ნაწილი კი იმ აზრისა იყო, რომ იქ შენობების აგება საზარალო იქნებაო. ზოგიერთ ცნობის უქონლობისა გამო, საბჭომ საჭიროდ დაინახა მიენდო ქალაქის გამგეობისათვის, საამშენებლო კომისიის დახმარებით შეჰკრიბოს დამატებითი ცნობები და შემდეგს სხდომას უფრო დასაბუთებული მოხსენება წარუდგინოს.

✦ **„ყვირილის საქმე".** ორშაბათს, 11 მაისისთვის ქუთაისში განსახილველად დანიშნულია ეგრედ წოდებული ყვირილის საქმე. საქმეს გაარჩევს კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს სესსია. სამართალში მიცემულია 28 კაცი, მათ შორის — ალექსანდრე სტეფანოვი, არსენ ქარსიძე, პავლე საყვარელიძე, ფილიპე წერეთელი, დიანოზ და დავით ცერცვაძენი და სხვანი. ეს საქმე მეორედ ირჩევა.

✦ ქალაქის გამგეობამ განცხადება გააკრა ქუჩებში, რომლითაც აცნობებს მცხოვრებთ, რომ მან განკარგულება მოახდინა დახოცონ ქუჩებში მოხეტიალე ძაღლები. ამიტომ გამგეობა წინადადებას აძლევს მცხოვრებთ, ქუჩებში არ გამოუშვან ძაღლები უსატუხუროდ. ქალაქის გამგეობის ასეთი დადგენილება გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ქუჩებში მოხეტიალე ძაღლები ხშირად ხელდებიან და ჰკბენენ გამვლელ-გამომვლელთ.

✦ ქალაქის გადამდებ სენიანთა საავადმყოფოში გარდაიცვალა ერთი სახადით ავადმყოფი მგალობლიშვილი.

## აკაკის იუბილეი სტამბოლში

**(წერილი სტამბოლიდან)**

სტამბოლში განზრახული აკაკის იუბილეი თავის დროზე ვერ იქმნა გარდახდილი. მიზეზი იყო დაგვიანება საქართველოდამ დაბარებულ წიგნებისა და ქართველ მოღვაწეთა სურათებისა. ჩვენი სურვილი იყო, იუბილეისთვის მზათა გვქონდა აკაკის სახელობაზე დაარსებული ბიბლიოთეკაც, რომ იუბილესთან ბიბლიოთეკის გახსნით დღესასწაული გამოსულიყო უფრო სრული და აქაურ ქართველებსაც თვალ-წინ ჰქონოდათ სამშობლოს მოსაგონრად ქართველ ხალხის გონებრივი ნაშრომი და იმის მესვეურთა სურათები. დაბარებული ნივთები მოგვივიდა დიდ-მარხვის ბოლო კვირეებში და იუბილეი დავნიშნეთ ნათლღდგომის პირველ კვირისათვის. საქმის მოთავეებმა დიდად იმეცადინეს და ყველაფრით გაემზადნენ ამ დღისთვის. საიუბილეო კომიტეტმა მოსაწვევი ბარათებიც დაუგზავნა საზოგადოებას, მაგრამ ოსმალეთის უკანასკნელ ამბებისა გამო კვლავ შეფერხდა საქმე. თუმცა არც ეხლაა სრული მშვიდობიანობა, სამხედრო წესი მოქმედებს და აქაური მაჰმადიანი ქართველები, მეტ წილად სამსახურში ან ახალგაზრდა ოსმალთა წრეებში მყოფნი, გართულნი არიან საქმეებში და ზოგმა მოცდა ითხოვა, მაგრამ გვეფიქრიანა, შემდეგ უფრო მეტი დაბრკოლება არ შეგვხვედროდა და 26 აპრილისთვის დავნიშნეთ დღესასწაული.

ვინც 26 აპრილს ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში იყო, იმას აღარ დაავიწყდება ეს დღე. მონასტრის უმცროს ძმების ხელით მშვენივრად იყო მორთული საკმაოდ მოზრდილი ზალა და სურათი აკაკისა. სურათს ყვავილების გვირგვინი ჰქონდა შემოვლებული და თავზევით ოქროს ვარაყიანი ასოებით ეწერა: „აკაკი ჩვენი, ვით შოთა რუსთაველი და სარგის-თმოგველი" გული გვეთანადრებოდა, დროება ასეთია და ვაი თუ ხალხი სულ ცოტა მოვიდესო, მაგრამ ჩვენი შიში არ გამართლდა. ორ საათზე ქრისტიანი ქართველები, ვისაც კი გაეგო და ბარათი მიეღო, თითქმის ყველა მოვიდა თავის ოჯახობით. დაესწრო, სხვათა შორის, სპარსეთიდან შაჰის ბრძანებით გაძევებული და დღეს აქ მყოფი რუსულ გაზეთების კორესპონდენტი ი. ამირეჯიბი, მოახერხეს და მოვიდნენ, ჩვენდა სასიამოვნოდ, მაჰმადიანი ქართველებიც. მართალია, რიცხვით მცირენი იყვნენ, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ეს მხოლოდ შემთხვევის გამო იყო. გული მწყდება, რომ ბევრი პატივსაცემი მაჰმადიანი ქართველი უკვდავებასავით ელოდა ამ დღეს, მაგრამ ვინ იცის სამსახურმა ვის რა საქმე გაუჩინა.

სამ საათზე პარაკლისი გადაიხადა მონასტრის უფროსის მოადგილემ პატრმა სტეფანე გიორგიძემ ქართულ საგალობელით და თითონვე პირველმა წამოსთქვა სიტყვა, ძღვნილი აკაკისადმი, ისე რაჭველმა წაიკითხა დაბეჭდილი ბიოგრაფია აკაკისა რამდენიმე მისის ლექსით და თავის მიერ დაწერილი სიტყვა აკაკზე. საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ ვლ. წერეთელმა ილაპარაკა სხვა და სხვა იუბილესთან შესაფერ საგნებზე და ბოლოს წარუდგინა ანგარიში თვით ამ კომიტეტისა და განსვენებულ ილიას ფონდისა „დროების" № 82-ში დაბეჭდილი, ამასთან მანვე შემოიტანა აზრი, ცალკე წერილი—ადრესი გაეგზავნოს აკაკის. ავტორთა სიტყვებს ხალხი დიდის გულდასმით ისმენდა და მადლობას უხდიდა. ბოლოს გრძნობიერად ილაპარაკა ტფილისიდან ჩამოსულმა პატრმა დომინიკე მულაშოვმა. მან სთქვა:

„შემთხვევით აქ თქვენთან ერთად მყოფმა, მე პირადად ვნახე დიდებული სურათი საქართველოში გარდახდილ აკაკის იუბილეს და გული არ მიშვებს ორიოდე სიტყვა არა ვთქვაო. 1908 წელი დაუვიწყარი იქნება ქართველი ერის ცხოვრებაში. წინა წელიწადი იყო ცრემლისა, რადგან უგუნურმა პირებმა თავიანთი ბოროტი ხელი შეახეს სამშობლო ქვეყნის დიდებას და მოჰკლეს ილია, შეურაცხყვეს სიწმინდე ერისა. ხალხი მოზღვავდა ყოველ კუთხიდან ამ საშინელებით ზარდაცემული და გულდამწვარმა საერთო ალაპი გაუმართა სიყვარულისა) 1908 წელს ამ ეროვნულ გრძნობა შეურაცხყოფილმა ხალხმა დიდებულად იდღესასწაულა ორმოცდაათი წლის თავი მოღვაწეობისა მეორე საყვარელ პოეტის აკაკი წერეთლისა. ექვსი ათასი სული ერთი კაცივით იდგა აკაკის წინ და გულის ძგერით შესცქეროდა მას ერთის აზრით, ერთის გრძნობით გატაცებული. სხვა და სხვა გვარი იყო ეს ორი შემთხვევა, მაგრამ შინაარსი ერთი მოგვცა, ერთი მოვლენა გვაჩვენა. სიტყვა ამ სასიქადულო პირთა ნაქადაგები კეთილ ნიადაგზე დავარდნილა, აღმოცენდა და მათი ნანატრი ქართველ გვაროვნობის გაერთება ცხად იქმნა; არ გამქრალა ქართული ენა და ქართული საქმე. იგი დაიცვა აკაკიმ და დღევანდლამდე ემსახურება ჩვენ ქართველთა გვაროვნობას. 50 წელიწადი მას მარტო ეკალი ხვდებოდა გზაზე, მაგრამ მისი დროშა ერთხელაც არ დაწეულა დაბლა და ამიტომაც დაიდგა მან გვირგვინი ერის სიყვარულისა. ერთი მისი შესანიშნავი მხარე ის არის, რომ იგი მარადღე უმღერს ქართველ დედას, ხან ტკბილად ეხვეწება და ხან მრისხანედ აგონებს, რომ ქართველ დედადვე დარჩეს და აალდინოს ჩამომავლობას ბუნებისაგან განკიცხული გადაგვარება. მართლაც, დიდია მნიშვნელობა დედისა ერის ცხოვრებაში და ჩვენი ბედი ყოფილა, რომ აკაკის ნანატრი დედები ბევრგან დაგვრჩენია. ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ქართველ მაჰმადიან დედებს, რომ სამშობლოდან გარდმოხვეწილნი წმინდად ინახავენ თავიანთ ოჯახებში დედა-ენას და დღეს მათი შვილები ქართულად გველაპარაკებიან. მე ამაში ზეგარდმო მადლსა ვხედავ და ვრწმუნდები, რომ სამი სარწმუნოების სამი შტო ქართველთ გვაროვნობისა ისევ ერთ ხეზე ყოფილა დამყნილი და თავის ფესვს არ მოშორებია. გაუმარჯოსთ იმ ქართველთ მოღვაწეთ, რომელთაც ძირი ამ ხისა უხვად ურწყვიათ თავიანთ სისხლითა და ცრემლით".

ეს იყო შინაარსი პატრ დომინიკეს სიტყვისა. მოვიყვანთ აქვე პატრ სტეფანე გიორგიძის სიტყვას:

„ბედნიერად ვსთვლი დღეს ჩემს თავს, რომ პირადად დავესწარ ამ გვაროვნობის სიყვარულიანს კავშირს, შემთხვევისა გამო ჩვენ ქართველთა სასიქადულო პოეტის აკაკი წერეთლის იუბილეისა. აქ დღეს ამის გამო ვხედავ ჩემის თვალით დიდ საკვირველებას, რომელშიდაც იხატება დღეს ერთობა და სამება. სამება ვსრედ, რომ ვხედავ სამ შტოს, წარმოსულს ერთსა და იმავე ხის ძირისაგან, მხოლოდ გარჩეულსა სარწმუნოებით. ვხედავ აგრეთვე მასში ერთობას, მით რომ ეს სამის რწმუნებით გარჩეული შტო დამყარებულია ერთსა და იმავე ძირზე ხისა, რომელიც საზრდოებს იმავე ტკბილ გვაროვნობის ხის ფესვებისაგან, რომლისგანაც წარმოიდინება საზრდო, და ზდის ამ სამ განყოფილ შტოს ერთ ბუნებად, და ნაყოფითაცა მათთა ერთმანეთისაგან განურჩეველსა; ეს არის კუთვნილება და ამაშია გვაროვნობა და სიყვარული მამულისა.

აგერ სტამბოლში არსებული ქართველთა სავაჭრო ამხანაგობა! აგერ ქართული საწიგნე! ეს ორივე დიდი ხნიდან ნატრული, დღეს იწყებს თავის ჩვნას, თაოსნობით ვლ. წერეთლისა, რათა მიულოცოს იუბილეი გვარის მოყვარე დიდებულ პოეტს აკაკის. ეს დაწესებულება მოუტანს სტამბოლში მყოფ ქართველთ დიდ სიკეთეს, თუ გონივრულად, თუ ზნეობრივ და თუ ეკონომიურად.

გონივრულად ის, რომ შეკრებით საუკეთესო ქართულ წიგნებისა ბიბლიოთეკა სტამბოლის აივსება თესლით მეცნიერების; და ეს თესლი მეცნიერებისა განანაყოფიერებს მრავალთა გონებას და გაანცობს ქვეყანაზე მყოფს კეთილს, თუ ბოროტს, კეთილს შეაყვარებს და ბოროტს შეაძულებს. ზნეობრივ ისე, რომ გაანცობს ღირსებას ადამიანობისას, რა არის კაცი და რა არის უტყვი ცხოველი, როგორ უნდა იცხოვროს კაცმა ქვეყანაზე და რა რიგად უნდა მართოს თავი თვისი, რომ იმის სიცოცხლეს დაერქვას სიცოცხლე ადამიანისა და არა უტყვ ცხოველისა. ეკონომიურად ისე, რომ ასწავლის ზომიერებას, აშორებს უზომოებისაგან და აფიქრებს მომავალისათვის.

აწ მრავალ ჟამს სიცოცხლე ჩვენს დიდებულს პოეტს! მრავალ ჟამს სიცოცხლე ამ ამხანაგობის დამწყობს ვლ. წერეთელს! მრავალ ჟამს სიცოცხლე ამ ამხანაგობის ყოველ წევრთ და მათ, რომელთაც მოუწყეს ხელი ამ კეთილ საქმეს".

ვლ. წერეთელმა, სხვათა შორის, სთქვა შემდეგი:

წერა-კითხვის საზოგადოებამ გამოუგზავნა ჩვენს ბიბლიოთეკას უფასოდ ოცდა-ათი ლირის წიგნები და კიდევ აღგვითქვა დახმარება. გვიგზავნიან თითო ოროლა ცალს თავიანთ გამოცემებს ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციები: „დროება", „ჩვენი საქმე", „ძალა", „ფასკუნჯი" და სხვები. აგრეთვე მოგვწერა „ცოდნის" წიგნის მაღაზიის პატრონმა ბ-ნმა მერკვილაძემ და გვპირდება თავის და სხვათა მიერ გამოცემულ წიგნებსა. ყველა ამათ დიდ მადლობას ვწირავთ. ზოგმა თქვენგანმა უკვე იცის, რომ ამ ბიბლიოთეკასთან არსდება გაჭირვებულთა დამხმარებელი კასსა და მუზეუმი. ამისი პროგრამა წესდებაში გვაქვს აღწერილი, მსურველს შეუძლიან იქიდან გაიცნოს დაწვრილებით, მხოლოდ მე მოკლედ მოგახსენებთ: კასსაში შესატანი წლიური საწევრო ფული ორი მეჯიდეა და ნურავინ დავიშურებთ ასეთი კეთილი საქმისათვის წელიწადში ამ მცირედს.

ჩვენი საზოგადოების სახელით ულრმეს მადლობას ვწირავ ერთობით ქართველ კათოლიკეთა ფერიქოის მონასტრის უფროსს და მათ კრებულს, ბიბლიოთეკის სახლის დათმობისა და მისივე მმართველობის მიღებისათვის; წმ. იოსების შკოლის დირექტორს მამა ანდრია წინამძღვრიშვილს ბიბლიოთეკის შკაფისა და საქართველოს ღერბის დათმობისა და ამ საქმეებში დაუღალავ შრომის მიღებისათვის; მამა მერაბს და სხვებს ამ საქმეებში მხნე შრომისა და მოღვაწეობისათვის; აგრეთვე იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ფული იუბილეის გადახდისა და ბიბლიოთეკის გახსნისათვის. ხელის მომწერთაგან შემოვიდა სულ $1490\frac{1}{2}$ ყურუში და დაიხარჯა ბიბლიოთეკა-იუბილეისათვის $1439\frac{3}{4}$ ყურუში. ამის წვრილათ ანგარიშიც ხელთა გვაქვს.

სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაურმა ქართველმა ვაჭრებმა თავიანთი დიდი ხნის სურვილი განახორციელეს კვირა-უქმე დღეებში დუქნების დაკეტვის შესახებ, რომ კვირაში ერთი დღე ჰქონდესთ თავისუფალი, რათა ისარგებლონ ბიბლიოთეკის წიგნებით.

პირობა ამ დუქნების დაკეტვისა კვირა-უქმეობით, წესდება ბიბლიოთეკისა, კასსისა, მუზეუმისა და სავაჭრო სახლისა და ყველა სხვა საბუთიც, რაც არის ჩვენის საზოგადოებისა, დღეიდან მიბარებული იქნება მამა ანდრია წინამძღვრიშვილთანა.

მოგვყავს აქვე შემომწირველთა სია:

მამა ანდრია წინამძღვრიშვილი 10 მან., მიხაილ ნასყიდაშვილი 5 მან., ჯელალ მირ ბეიმ მემარნე 3 მან., ალექსანდრე ნასყიდაშვილი 2 მან., კონსტანტინე მირაქოვი 2 მან., ივანე ბეჟანიშვილი 5 მან., პავლე გოზალიშვილი 1 მან., სიმონ ფილოშვილი 2 მან., იაკობ ფილოშვილი 1 მან., სიმონ დურგლიშვილი 2 მან., იოსებ ბეჟანიშვილი 2 მან., ლუკა თუმანოვი 2 მან., ანტონ წინამძღვრიშვილი 2 მან., იოსებ ბაკაკოვი 2 მან., პავლე ნასყიდაშვილი 5 მან., ივანე სიდავა 3 მან., ქართველთ კათოლიკე მონასტერი 5 მან., ლევან გალაჯევი 8 მან. 60 კ., დოქტორმა მერაბი 1 მან. 60 კ., მამუდ ფაშა თავდგირიძე 4 მან. 80 კაპ., აჰმედ ბეგ თავდგირიძე 4 მან. 80 კაპ., ბაჰირ ფაშა თავდგირიძე 8 მან. 60 კაპ., პატრმა მერაბი 1 მან. 60 კაპ., მამუდ თავდგირიძე 1 მან. 60 კაპ., დანიელ ბეჟანიშვილი 3 მან., ივანე აზიზოვი 80 კაპ., ვლადიმერ აჰმედ ბეი ფალავა 6 მან. 40 კაპ., თომა გოზალიშვილი 9 მან. 60 კ. ვლადიმერ წერეთელი 13 მან.

სიტყვებს ზედ მოჰყვა მუსიკა. უკრავდნენ მამა ანდრიას სკოლის მოსწავლენი, რომელთაც განგებ ამ დღისათვის შეესწავლა ქართული მრავალ-ჟამიერი. კარგ სიტყვებთან მოსწავლეთა მხიარული მუსიკა მშვენიერი დამატება იყო, ძლიერ ისიამოვნა საზოგადოებამ.

შემდეგ მონასტრის ეზოში დამსწრეთ საერთო სურათი გადაიღეს.

ნამდვილი ლხინი გაიმართა ბიბლიოთეკის გახსნაზე. დაათვალიერეს წიგნების შკაფი, რომლის თავთ შვენოდა საქართველოს ღერბი, ხოლო რაც ზედმეტი წიგნი იყო, იქვე დაურიგდა, ვისაც რა შეჰხვდა.

უკვე შვიდი საათი თავდებოდა, ხალხი რომ დაიშალა დიდად კმაყოფილი.

ბევრ მწარეს რასმე მოაგონებდა და ბევრს ტკბილსაც მიქადდა ის სურათი, როდესაც ერთ სახლში, ერთის ჭერ ქვეშ, აკაკის სურათის წინ ჩვენთან ერთად ჩამოსხდნენ მაჰმადიანი ქართველებიც წითელი ფესვებით და ჩუმად ერთმანეთის ვინაობას ვკითხულობდით. ვინ იცის, რა ხანია დავშორდით ერთმანეთს, ბედმა გაგვაბნია, როგორც დამწუხებით გვითხრა ერთხელ ბაჰირ-ფაშა თავდგირიძემ, და დღეს კი ერთმანეთს შევხვდით. აგერ სიმპატიური პირი წითელის ფესკით, ნამდვილი ქართველი გარეგნობით. სახის მოძრაობაზე ეტყობა, რომ ქართულად წარმოთქმულ სიტყვებს ასო-ასო ჰკრეფს. როდესაც მკითხველი გვიამბობდა აკაკის ბიოგრაფიიდან, რომ პატარა კაკოს ხელ-საქმეც კი ემარჯვებოდა, მაგრამ დიდები ეუბნებოდნენ, რა ვაჟკაცის საქმეა წინდა-პაიჭის ქსოვა და კერვაო, ჩემ გვერდზე მჯდომმა მაჰმადიანმა ქართველმა ამ სიტყვებზე ჩაიცინა. სჩანს, გულის ძარღვი, რომელიც აკავშირებდა მას მშობლიურ ჰანგთან, მასში არ გაწყვეტილა. მაგალითი ერთია, მაგრამ ძირი ამ მაგალითისა ფესვებიანია. ან ვინ იცის, რამდენია იმისთანა დრამატიზმით აღსავსე მაგალითი, რომელიც აქათში ბევრსა ჰქონია გაგებული და მე ეხლა მიამბობდა ოსმან-ბეი ღლონტი. ერთი ქართველი ფაშა ყოფილა ვანის გუბერნატორად, ამ ექვსი წლის წინად გარდაცვლილი; ქართველი რომ ვინმე მივიდოდა, ამნაირი ლაპარაკი იმართებოდა: ვინ ხარ შენ? —გურჯი. ქართული იცი? თუ ეტყოდა, არ ვიციო, შეუტევდა, გასწი, როგორი გურჯი ხარ, ქართული არ იციო, და გააგდებდა. თუ აქამდე არ დაგვავიწყდა ქართული, ეხლა სულ აღარ დაგვავიწყდებაო, მითხრა მეორემ, და ამით ის მანიშნა, რომ წინა რეჟიმში ერთმანეთში მისვლა და დალაპარაკება ეშინოდათ. რაც კი შემთხვევა მქონია მათის გაცნობისა. მუდამ ის რწმენა გამომიტანია, რომ ეროვნული კითხვა უკვე სარწმუნოების ვარეთა დგება.

დიდი მადლობის ღირსია წერეთელი, რომლის თაოსნობითაც მოეწყო იუბილეი. მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე, ქართველ კათოლიკეთა პატრები და ძმები, რომელნიც არ მისდევენ გადამახინჯებულს ბერულს ფორმალისტობას და თავიანთ ნათელის სახით ჩვენი შეკრებილობა დაამშვენეს, ხალხში ჩადგნენ, ვითარცა მწყემსნი კეთილნი, და აკაკის დღეობა ერთი-ორად საგულისხმიერო გახადეს.

**ქართველიშვილი.**

## ოსმალეთი

**აბდულ-ჰამიდმა თავისი ფული გადასცა სახელმწიფოს.**

აბდულ-ჰამიდმა განაცხადა: ჩემს ფულს გადავსცემ სახელმწიფოს მხოლოდ იმ პირობით, რომ სიკვდილამდე უზრუნველმყონ მე თითონ, ჩემი შვილები, ცოლები და დედაო.

5 მაისს მთავრობამ დეპუტაცია გაგზავნა აბდულ-ჰამიდთან ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად. დეპუტაცია მთელ ღამეს ეთათბირა მას. აბდულ-ჰამიდი ჯერ ძლიერ გაჯიუტდა, მაგრამ ბოლოს დასთანხმდა დელეგატების ყველა მოთხოვნას. („კ.")

**რუსეთის პროტექტორატი ოსმალეთის სომხებზე.**

სომხების კათოლიკოსს იზმირლიანს უთქვამს [illegible] ტებისათვის: განზრახვა მაქვს პეტერბურგში მისვლის უმალ ვითხოვო, რომ ოსმალეთის სომხებზე დაწესდეს რუსეთის პროტექტორატი (ესე იგი, ამას იქით რუსეთი იყოს ოსმალეთის სომხების მფარველიო), იმ ნაირად, როგორც საფრანგეთის პროტექტორატია დაწესებული ოსმალეთის კათოლიკეებზეო. კათოლიკოსის აზრით, ესეთი პროტექტორატი წარმოადგენს ერთად-ერთ საშუალებას, რომელიც შეუძლებელს გახდის სომხების აკლებას ოსმალეთში კათოლიკოსს ამ საქმის თაობაზე უკვე უთათბირნია სტამბოლში რუსეთის ელჩთან ზინოვიევთან.

**ახალი სულთანი და ელჩები.**

ახალმა სულთანმა მაჰმუდ მეხუთემ აუდიენციით მიიღო ევროპიელ სახელმწიფოების ელჩები, რომლებმაც ჩააბარეს სულთანს ახალი რწმუნების წერილები. რუსეთის ელჩი ზინოვიევი არ დასწრებია აუდიენციას.

**კრიტოსის საქმე.**

ოსმალური პრესა გამწვავებით ამხედრდა იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ კუნძული კრიტოსი ოსმალეთს ჩამოაშორონ და საბერძნეთს შეუერთონო. გაზეთები აცხადებენ, რომ ოსმალეთი არასოდეს არ აიღებს ხელს ამ კუნძულზეო.

## სპარსეთის ამბები

**ოსმალეთის ჯარი ურმიაში.**

ურმიის, სალმასტის და ხოის ენჯუმენებმა თურმე თითონა სთხოვეს ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს ჯარის გამოგზავნა. ოსმალეთის მთავრობამ, როგორც ვიცით, უკვე გაგზავნა სამი პოლკი ჯარი ურმიაში ამ ჯარის უფროსებად არიან ხალილ-ბეი და ჯავდეთ-ბეი.

ამბობენ, მალე დიდი ჯარი მივა კიდევ ურმიაში არზრუმიდანაო.

**კავკასიელ რევოლიუციონერის დატუსაღება თავრიზში.**

„ბაქუ"-ს ატყობინებენ თავრიზიდან: „6 მაისს თავრიზის ქუჩებზე გაატარეს ჯაჭვებით შეკრული კავკასიელი თათარი მამედ-ალიევი, ძმა ტფილისურ თათრულ გაზეთის რედაქტორისა, მან თურმე სხვა კავკასიელებთან ერთად დაიჭირა რაჰიმ-ხანის მომხრეებისა და დავაჩის უბნის რეაქციონერ-ვაჭრების სახლები, მათი ქონება გაყიდა, და აღებულ ფულით იყიდა იარაღი და ჯამაგირები დაურიგა რევოლიუციონერებს. რეაქციონერებმა ეხლა უხელეს მამედ-ალიევს. ამის გამო იგი დაატუსაღეს და რუსის ჯარის ბანაკში მოიყვანეს. მამედ-ალიევს რუსეთში გაჰგზავნიან.

**ბახტიარების ხანის პროტესტი.**

ბახტიარების ხანმა პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ რუსეთი და ინგლისი სპარსეთის შინაგან საქმეებში ჩაერივნენ.

**შეკითხვა ინგლისის პარლამენტში.**

„ნოვ. ვრემია"-ს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება—სპარსეთიდან მოსულ ამაღელვებელ ამბების გამო დეპუტატები პარლამენტში შეეკითხნენ მთავრობას. გარეშე საქმეთა მინისტრმა გრეიმ უპასუხა, რომ საქმეთა მდგომარეობა სპარსეთში თან და თან უკეთესდება, მეტადრე თავრიზში.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა** („ქრისტინე", გადმოკეთებული ირეთელის მიერ). ხუთშაბათს ქართველ არტისტთა ამხანაგობამ წარმოადგინა ირეთელის მიერ დრამად გადმოკეთებული ე. ნინოშვილის „ქრისტინე". ვის არ წაუკითხავს ეს მშვენიერი მოთხრობა ე. ნინოშვილისა! როგორც თითქმის ყველა თხზულება ნინოშვილისა, „ქრისტინეს" შინაარსიც ღარიბ გლეხთა ცხოვრებიდან არის აღებული და მეტად ცოცხლადაც არის დახატული გლეხის ტანჯვით სავსე ყოფა-მდგომარეობა.

ამ წარმოდგენაზე პირადად მე წინად აღებულ აზრით მივედი. ვფიქრობ...

ბლი, ირეთელის „ქრისტინე“ იქნება ისეთი არ გამოდგეს სცენაზე, როგორც თვით ნინოშვილის მოთხრობაა შეთქი; მაგრამ ჩემი მოლოდინი არ გამართლდა: დრამა შინაარსად არის გადმოკეთებული. ბ-ნი ირეთელი ცდილა სცენიდან ეჩვენებინა ყველა ის, რაც ნინოშვილმა მოთხრობაში გვიამბო. ცოტა ნაკლოვანებები რომ არ იყოს, პიესა უკეთესი იქნებოდა, შთაბეჭდილებას უფრო კარგს მოახდენდა მაყურებლებზე. მაგალითად პირველ სცენაზე ხვდებიან ქრისტინე და იასონი—მეორე სცენა იწყება იმით, რომ ქრისტინე მისჯდომია აკვანს და დასტირის თავის უბედურებას. იასონმა მოატყუა, შვილი აყოლა და ჯვარის დაწერაზე უარს ეუბნება. ჩემის აზრით, ეს ნაკლოვანებაა და, არ ვიცი, რად გამოუშვიათ სცენა ხის ქვეშ. შეიძლებოდა საუბარი და ფიცის მიცემა ეჩვენებინათ.

ჩვენი მსახიობნი აღტაცებით თამაშობდნენ. თითქმის ყველანი კარგები იყვნენ. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება, როგორც მოსალოდნელი იყო, მღივანმა და შალიკაშვილმა მიიქციეს. მღივანი გრძნობიერად თამაშობდა. უფრო მდიდარი მიმიკა რომ ჰქონდეს მსახიობს, ამ გრძნობიერებას უფრო ნათელ ჰყოფდა. ხშირ-ხშირად თვალების გაშტერებაც ვერ ახდენს კარგ შთაბეჭდილებას. ვიმეორებთ, საერთოდ ახალგაზდა მსახიობი კარგად და გრძნობიერად თამაშობდა, და აგი იმოქმედა კიდეც მაყურებლებზე. ბევრი ქალი ტიროდა კიდეც. შალიკაშვილიც კარგი იყო. სხვები ხელს უწყობდნენ ამათ სულ უმნიშვნელო როლების ამსრულებელნიც კი, თუნდაც ისეთი, როგორც მედუქნის ბიჭია, კარგები იყვნენ. ხალხმა ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვა მსახიობნი. წარმოდგენის გათავების შემდეგ პიესის გადმომკეთებელიც გამოიწვიეს.

# ბიბლიოგრაფია

**„ქართული ხალხური სიმღერები და ლექსები“**, შეკრებილი ი. კარგარეთელის მიერ.

ქართველ ერის სულიერ ცხოვრების ნაწარმოები—სიმღერა, ლექსთა თქმულებაა იგი, თუ სხვა რამე—ისე ნაკლებად, უფრო-ულად არის ჯერ აღნიშნული და გამოკვლეული, რომ სრულ უიმედობასა და სასოწარკვეთილებას ეძლევა კაცი; მეტადრე მაშინ, როდესაც თვალს გადაავლებს და ნახავს, რაოდენია სამკალი და მომკელნი კი ან სულ ცოტა, ან სულ არ მოიპოვებიან. მესამოცე წლებს აქეთ,—როცა ქართველი საზოგადოებაც ამ ხნის საუკეთესო იდეების ზეგავლენით ამოძრავდა და სალათის ძილს თავი დააღწია,—ვერც ერთი დარგი ქართველი ერის ქმნილებისა ვერ აღინუსხა ისე თვალსაჩინოდ, რომ მტრისა თუ მოყვრისათვის მიგვეთითებინა და ამაყად გვეთქვა: აი რა სიმდიდრე აქვს ამ ხალხსაო. დამეთანხმეთ, რომ თითქმის ეს ორმოცდა ათი წელიწადი მას აქეთ განვლილი, საკმაო ხანია რამე გაკეთებულიყო ამ მხრივ. რისი ბრალია ეს? უფრო ჩვენი დაუდევრობისა და არა უკაცობისა და შეუგნებლობისა,—როგორც ზოგიერთსა ჰგონია. ამიტომაც ყოველი ნამუშევარი ამა თუ იმ სულიერ ცხოვრების გამომხატველ დარგისა სიამოვნებით უნდა აღინიშნებოდეს.

ერთ ამისთანა სასიამოვნო მოვლენას წარმოადგენს ი. კარგარეთლის მიერ ახლად შეკრებილი და გამომცემელი „ქართულ ხალხურ სიმღერებისა და ლექსების“ კრებული. ი. კარგარეთელი ქართულ ეროვნულ მუსიკისა და ლექსთა-თქმულების მცოდნეა. დიდი მუშაობა და მუყაითობა გამოუჩენია მასალის მოგროვებაში. ყველა ამას ცხად ჰყოფს ის ტეხნიკური აღნუსხვა სასიმღერო კილოების, მწყობრად მათი პერიოდების დაყოფა და ზედმიწევნით გადმოცემა ნამღერისა და ნათქვამისა, რასაც აქ უბრალო თვალიც კი შეატყობს და ამოიკითხავს. გამოცემა არა თუ შინაარსით, გარეგნობითაც კი დიდად საყურადღებოა.

სიმღერები ბევრი ნაცნობია ქართულ საზოგადოებისთვის, ხოლო ჯერ არსად არ დაბეჭდილა, გარდა ერთისა, თუ არა ვცდებით, „შევსვათ წითელ-წითელი“, რომელიც დაბეჭდილია მისსავე პირველ სიმღერების კრებულში გამოცემული წ.-კ. საზ. მიერ 1899 წელს. რაც შეეხება ლექსებს, აქ შეტანილია ისინიც, რაც იბეჭდებოდა გაზეთებში. ჯერ მაშინაც ამ ლექსებმა მკითხველ საზოგადოების ყურადღება მიიქციეს და შეიძლება თამამად ითქვას, რომ მათმა მუსიკამ, რითმის სიმშვენიერემ და ენის ბუნებრიობამ ზედმეტად კიდევ გაგვახსენეს ხალხურ პოეზიის სიდიადე და სიმდიდრე, იმ პოეზიისა, რომელიც ესე მივიწყებულია ჩვენგნით.

ამისთანა სიყვარულით და ცოდნით ნამუშევარს ერთად ერთი და უნდა ვუსურვოთ—თანაგრძნობა ქართველ საზოგადოებისა.

# რუსეთი

**პრუსაკოვის ჩვენება.** (გერცენშტეინის მკვლელის საქმე). გერცენშტეინის მკვლელის საქმის გარჩევის დროს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ყოფილ წევრს, პრუსაკოვს განუცხადებია, რომ დუბროვინს ერჩილ უნდოდა მილიუკოვის მოკვლა. ამ მიზნით დუბროვინს კიმეე პოლინსკისთვის, რომელიც თავის თავს პოლკოვნიკს ეძახდა, ფული მიუცია. დუბროვინის მთავრობით პოლინსკის მილიუკოვისთვის რამე შარი უნდა მოედო, წასჩხუბებოდა და ჩხუბის დროს ბოქსით მოეკლა. პოლინსკის და მის თანამეწყეებს დუბროვინისთვის ფული გამოურთმევიათ და საქმე გადაკარგულან. პრუსაკოვისვე ჩვენებით ნაფიცი ვექილი პულავცელი (ჭეშმარიტ რუსთა კავშირის მეთაური) ყოველთვის ჰქადაგებდა პრემიერ-მინისტრის სტოლიპინის, იუსტიციის მინისტრის შჩეგლოვიტოვის, მილიუკოვის, გრუზენბერგის და ვინავერის მოკვლას. პულავცელი თვითონ კისრულობდა ამათ მოკვლას, თუ კი ისეთ თანამეწყეებს იშოვიდა, რომლებიც მკვლელობის შემდეგ თვითონაც მოიკლავდნენ თავს. დუბროვინი „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ რაზმელებს დიდ ფულს აძლევდა თურმე და თავის სახლში იარაღის საწყობი ჰქონდა. როგორც დეპეშებიდან ვიცით, გერცენშტეინის მკვლელს 6 წლით სატუსაღო გადაუწყვიტეს. პოლოვნევის დამცველი ხელმწიფეს თხოვნას აძლევს, სასჯელი აპატიეთო.

**პოლონელთა კოლოს გადაწყვეტილება.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, სახელმწიფო სათათბიროში უნდა განიხილოს კანონ-პროექტები, რომლითაც ხოლმი უნდა გამოეყოს პოლონეთს და ცალკე გუბერნიად გადაკეთდეს. „კასპი“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ სახელმწიფო სათათბიროს პოლონელთა კოლომ გადასწყვიტა, თუ ეს კანონ-პროექტი დაამტკიცეს, მაშინ დეპუტატობაზე უარი განაცხადოთო.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში 49 კრასნოიარსკში 1, ხარკოვში 8, რევალში 3, კიევში 2, ბობრუისკში 2, ვარშავაში 5, ტფილისში 3 კაცს; სიკვდილი დასაჯეს: ტამბოვში 1, კიევში 2, მოსკოვში 2, ხარკოვში 1, ვარშავაში 1, პეტერბურგში 3, კამენეც-პოდოლსკში 2 კაცი.

**ჟურნალის კონფისკაცია** „რეჩის“ სიტყვით, კონფისკაცია უყვიათ ჟურნალ „რუსკ. ბოგატ.“ მეოთხე ნომრისთვის.

**განსაკუთრებულ წესების გაუქმება.** ამავე გაზეთის სიტყვით, ამ მოკლე ხანში მოსკოვში გააუქმებენ განსაკუთრებულ წესებს.

**მოსკოვის უნივერსიტეტის რევიზია.** როგორც ვიცით, რევიზიას უკეთებენ რუსეთის უნივერსიტეტებს. რევიზია პეტერბურგის უნივერსიტეტიდან დაიწყეს. რუსეთის გაზეთების სიტყვით ახლა მოსკოვის უნივერსიტეტს უკეთებენ რევიზიას. რევიზორად მოსკოვის სასწავლო ოლქის მზრუნველი დაუნიშნიათ.

**ამ დროული სტატისტიკა.** „რეჩი“-ს სიტყვით, გასულ თვეში, აპრილში სამხედრო და ხუთ სასამართლოებს 6, კაცისთვის გადუწყვეტია სიკვდილით დასჯა. აქედან ხარკოვში 14, ვარშავაში 12, მოსკოვში 10, ვილნოში 7, ტამბოვში 5, ტაშკენტში 3, ხერსონში 3, კიევსა, პეტერბურგსა, ტფილისსა, ცარიცინსა კრასნოიარსკსა და ტომსკში ორ ორისთვის. ოდესაში, რიგასა და პსკოვში თითო კაცისთვის. სიკვდილით დაუსჯიათ 45 კაცი (მარტში 52). აქედან: უფაში 6, ეკატერინოსლავში 5, ოდესაში 5, ეკატერინოსლავში 5, ტომსკში 4, ხარკოვში 4, სევასტოპოლში 3, კამიშინში 3, ორიოლსა, კიევსა, კურსკსა, ტვერსა, ქიშინევსა, ვარშავასა და ლოძში ორ-ორი და განჯაში 1 კაცი. სულ ამა წლის პირველ ოთხი თვის განმავლობაში სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 465 კაცისთვის, სიკვდილით დაუსჯიათ 275 კაცი, სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ: იანვარში 121, თებერვალში 132, მარტში 143, აპრილში 69 კაცისთვის.

**ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობა.** ამა წლის პირველ ოთხი თვის განმავლობაში დაუჯარიმებიათ რედაქტორი, სულ 38,895 მანეთით. აქედან პეტერბურგში 16,900 მანეთი (21 ჯარიმა), მოსკოვში 4,500 მ. (3 ჯარიმა), კიევში 1,600 მ. (5 ჯარიმა), კიშინევში 1,100 მ. (3 ჯარიმა), ცარიცინში 1,800 მ. (4 ჯარიმა), სარატოვში 1,000 მ. (2 ჯარიმა), ვიატკაში 700 მ. (4 ჯარიმა), ირბიტში 800 მ. (2 ჯარიმა), რიგაში 1,300 მ. (3 ჯარიმა), ვიშნი-ვოლოჩეკში 1000 მ. (2 ჯარიმა), ეკატერინოსლავში 600 მ. (2 ჯარიმა), იაროსლავში 600 მ. (2 ჯარიმა), ელისავეტგრადსა, იურიევსა, ნიჟნი-ნოვგოროდსა, ხერსონსა და სხვაგან ხუთას-ხუთასი მანეთი (თითო ჯარიმა). ფულით დაჯარიმების გარდა ბეჭდვითი სიტყვას სხვანაირადაც სდევნიან. პროვინციალური ადმინისტრატორები ჰკეტავენ იმ სტამბებს, სადაც გაზეთები იბეჭდება, იჭერენ და ასახლებენ პროგრესიულ გაზეთის თანამშრომლებს და სხვა.

**ხოლმის პოლონეთიდან გამოყოფა.** „კასპი“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ხოლმის პოლონეთიდან გამოყოფის კანონ-პროექტს სათათბიროს აღარ გადასცემენ. ამ საკითხის 87 სტატიის ძალით განახორციელებენ სათათბიროს საზაფხულო კანიკულების დროს.

**ოთხი ჯავშნიანი გემი.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, საზღვაო საქმეთა მინისტრი ამ წელსვე მოსთხოვს სათათბიროს ოთხ ჯავშნიან გემის ასაგებ ფულს.

**რევიზია.** გაზეთების სიტყვით ამ მოკლე ხანში რევიზიას გაუკეთებენ შორეულ აღმოსავლეთს. რევიზორად დანიშნავენ სენატორ ვოგაკს.

**მემ. რეჯვენეები.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარე ხომიაკოვმა მემარჯვენეები სამედიატორო სასამართლოში გაიწვია. „რეჩის“ სიტყვით მემარჯვენეებს ხომიაკოვისთვის უარი უთქვამთ.

**სამართალში მიცემა.** რუსეთის გაზეთების სიტყვით ტურუხანის მხარეში 65 გადასახლებულს სამხედრო სასამართლოში აძლევენ. მათ აბრალებენ გადასახლებულთა საიდუმლო კავშირის დაარსებას და ექსპროპრიატორების ხელის შეწყობას.

**სახელმწიფო სათათბიროს სესიის გათავება.** სათათბიროს თავჯდომარე ხომიაკოვს უთქვამს, რომ სახელმწიფო სათათბიროს საზაფხულოდ პირველ ივნისს დაითხოვენო. საზაფხულო კანიკულები ოქტომბრამდის გასტანს.

**რევიზია.** „კასპის“ სიტყვით ამ მოკლე ხანში რევიზიას გაუკეთებენ პროვინციის ყველა საინტენდანტსტვოებს.

**მემარჯვენეების შუამდგომლობა არ შეიწყნარეს.** როგორც ვიცით მემარჯვენეებმა შუამდგომლობა აღძრეს, რომ გერცენშტეინის მოკვლის საქმე რუსეთის სასამართლოში გაარჩიონო. „რეჩის“ სიტყვით მთავრობას არ შეუწყნარებია მემარჯვენეების შუამდგომლობა.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! ბ-ნმა ქიზიყელმა მისაყვედურა, რატომ ქართულად არ ვაუწყე ქართველ საზოგადოებას კახეთის გზის ამბავი.

ეს სასიამოვნო ჩვენი ქვეყნისათვის ამბავი დავწერე რუსულად იმ განზრახვით, რომ ამ გზაზე ქართველების გარდა წაიკითხავდნენ ამ ამბავს, როგორც რუსები, ისე თათარ-სომხები და დანარჩენნი ერნი, ჩვენს ქვეყანაში დროებით დაბინავებულნი.

**თ-დ. ე. ჩოლოყაშვილი,**

—

ნუ თუ ისეთი ძნელი მისახვედრი იყო, რას უსაყვედურებდა ბ-ნი ქიზიყელი თავ. ჩოლოყაშვილს? ქიზიყელი იმას კი არ უსაყვედურებდა, რუსებს და სხვებს რუსული გაზეთის საშუალებით რად მიმართეო, არამედ იმას, რომ ქართველებს რატომ ქართული გაზეთით არ აცნობეთ კახეთის რკინის გზის ამბავიო. **რედ.**

## მოგებათა ტირაჟი

მესამე სესხის ტირაჟი:

| მოგების რაოდე. | №№ სერ. | №№ ბილ. | მოგების რაოდე. | №№ სერ. | №№ ბილ. |
|---|---|---|---|---|---|
| 200,000 | 2476 | 30 | ათას-ათასი მანეთი | 11214 | 9 |
| 75,000 | 13832 | 29 | | 4219 | 13 |
| 40,000 | 15937 | 28 | | 13457 | 6 |
| 25,000 | 15973 | 3 | | 2726 | 33 |
| 10,000 | 6380 | 46 | | 760 | 14 |
| 10,000 | 2172 | 48 | | 76 | 9 |
| 10,000 | 10794 | 47 | | 13174 | 41 |
| 8,000 | 2437 | 2 | | 10128 | 13 |
| 8,000 | 11252 | 12 | | 14355 | 19 |
| 8,000 | 1786 | 9 | | 15045 | 22 |
| 8,000 | 7440 | 15 | | 2244 | 35 |
| 8,000 | 2128 | 27 | | 12389 | 42 |
| 5,000 | 2755 | 46 | | 6710 | 22 |
| 5,000 | 6187 | 2 | | 12592 | 8 |
| 5,000 | 10858 | 34 | | 1307 | 11 |
| 5,000 | 13952 | 25 | | 6035 | 41 |
| 5,000 | 12925 | 17 | | 5026 | 8 |
| 5,000 | 10292 | 25 | | 7572 | 50 |
| 5,000 | 10007 | 49 | | 14555 | 39 |
| 5,000 | 6831 | 36 | | 1740 | 10 |

ხუთას-ხუთასი მანეთი ჰხვდა: № სერიისა 5798, № ბილეთისა 1, 6803-1,
11634-4, 4098-8, 13174-18,
13510-11, 14703-50, 4503-37,
7021-27, 5804-26. 11504-45,
11585-33, 13000-44, 6935-42,
10957-41, 2704-43, 7410-13,
3632-50, 2884-25, 5565-48,
11813-17, 12520-15, 13859-3,
10096-47, 1297-17, 1071-21,
3266-21, 15890-37, 2401-19,
12840-6, 9879-27, 6084-18,
13912-12, 6340-29, 6-45, 7205-27,
8937-14, 5888-23, 15548-22,
3783-4, 3598-1, 15791-11,
14017-5, 3927-42, 11448-31,
11442-32, 9279-30, 14856-17,
8577-5, 11038-2, 1134-13,
2556-44, 6531-47, 3552-28,
6081-45, 1079-29, 1124-35,
751-11, 4438-30, 1640-46,
536-40, 11473-40, 12549-1,
3709-37, 7874-15, 641-34, 13-47,
6932-23, 10898-7, 7316-3,
15018-25, 2445-38, 34-34,
10209-12, 15676-35, 8804-8,
5234-20, 6675-3, 15836-25,
14308-48, 355-21, 10482-41,
13842-14, 12420-30, 11487-50,
13418-17, 14114-43, 872-31,
5679-28, 3462-17, 10342-34,
6076-21, 7138-6, 482-9, 2922-43,
917-13, 6076-4, 6194-24, 1479-4,
5256-41, 15568-33, 14880-18,
10378-18, 8027-31, 2542-36,
8260-41, 1251-28, 3571-37,
10867-34, 2354-40, 8834-26,
10061-48, 12748-19, 13657-13,
5180-11, 10042-16, 15307-24,
14752-47, 4514-25, 9497-27,
7643-31, 8582-29, 72-15, 9735-9,
15194-27, 2616-17, 6015-9,
10434-48, 11662-33, 14419-31,
8462-46, 14666-46, 10360-19,
12712-32, 9886-34, 1575-28,
13381-39, 12226-14, 3921-32,
12803-22, 10163-38, 658-32,
14152-33, 14968-47, 5254-31,
198-26, 14328-20, 3788-47,
7102-10, 11211-2, 9270-17,
8414-10, 5555-19, 2646-3,
7999-29, 4224-41, 14898-50,
10973-39, 6964-40, 8288-43,
93-43, 4096-36, 6949-35, 1666-37,
12370-17, 2622-17, 10993-26,
15838-44, 13651-21, 15881-37.
15830-17, 7719-7, 3706-50,
9040-23, 8536-29, 4306-25,
12065-21, 7694-37, 13340-36,
14519-5, 13747-6, 12677-38,
11897-33, 13943-47, 10961-17,
12283-49, 1236-48, 3886-5,
15111-25, 1072-16, 2847-37,
2943-25, 12611-28, 1815-20,
643-42, 15326-20, 7470-36,
10063-3, 9206-9, 10767-15,
13381-44, 13680-48, 13847-25,
3539-49, 6610-10, 5433-34,
10944-9, 11982-41, 11210-28,
828-8, 2120-4, 1584-42,
7785-9, 10194-8, 11186-38.
2176-28, 6358-50, 5817-40,
13040-19, 14766-6, 655-1,
3225-37, 9110-21, 12160-42,
13730-4, 10023-41, 13490-35,
6594-50, 5855-21, 11282-39,
11938-15, 6256-12, 14670-49,
13895-3, 9677-49, 7860-29,
56-10, 9182-15, 14055-37.
4239-19, 9592-27, 12291-48,
3255-32, 9827-48, 13772-42,
4988-26, 7916-45, 5529-11,
11438-42, 4976-6, 5352-25,
15104-34, 7779,25, 8062-32,
3560-24, 7786-2, 10619-11,
7373-49, 13179-42, 1847-30.

ტირაჟში გამოვიდა: №№ სერიისა:
2624, 13151, 5428, 15913, 5005,
15423, 9424, 1590, 1328, 9284,
690, 4061, 6106, 3102, 13550,
12075, 9362, 8503, 3968, 3588,
3294, 14583, 14981, 660, 3981,
2452, 800, 13976, 15524, 3751,
15840, 10419, 12853, 5201,
6356, 2480, 11448, 6843, 13579,
897, 11056, 6353, 1608, 12552,
3500, 10461, 15695, 6068, 8058,
735, 8637, 12707, 9845, 10192,
5231, 7380, 767, 15828, 14765,
5579, 13970, 47, 5993, 2536,
12117, 10310, 13038, 13280,
13920, 2123, 12743, 9782, 9349,
12893, 2149, 3373, 11500, 7404,
3505, 6327, 14231, 3327, 3050,
7510, 12306, 4827, 13891, 12682,
12151, 390, 10142, 4517, 14984,
4304, 8859, 1792, 307, 1606,
3209, 15509, 9240, 15419, 228,
14645, 15579, 2127, 3779, 12080,
14917, 7678, 435, 14743, 1215[illegible],
2144, 8417, 7909, 3618, 647[illegible],
7260, 1090, 12682, 3036, 10264,
9549, 13423, 12438, 8251, 1520[illegible],
14611, 8745, 13869, 8866, 14159,
5652, 11478, 11933, 9398, 4162,
15420, 831, 10594, 13215, 13821,
3667, 6685, 6478, 14898, 10966,
612, 6786, 3606, 3426, 14650,
8049, 13486, 9432, 14934,


# განცხადებანი

## გასასყიდი მიწა

ხიმშიაშვილისა და დიასამიძის მამულში **საგაბაშვილოში** საბურთალოს მახლობლად იყიდება ნაჭრებად მ-წი 25 კაპ 1 მანეთ მდე ოთხკ. საჟ. ერთი წლის გადახდის ვადით.

იკითხეთ: სასახლის ქუჩა, თავადაზნაურთა ქარვასლა, № 153.

(3—251—2)

## გაფრთხილება

## დ. ზ. სარაჯიშვილისა

კანტორა ტფილისში.

ЗАВОДСКАЯ МАРКА

ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწადინებულნი არიან** ისარგებლონ ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასაყიდად **გამოუშვეს არაყი და არყის სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებითა და მარკებით, რომელიც საშინლად ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ—უნდათ შეცდომაში შეიყვანონ ბ-ნნი მომხმარებელნი.

ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **დ. ზ. სარაჯიშვილი,** ხოლო წვრილის, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით (ნაწერის) **ყოფილი მოსამსახურენი.**

ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენი ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი „**ყოფილი მოსამსახურენი**“, და საქარხნო მარკას „**ჯიხვი კლდეზე**“. (20—234—4)

## ყველას შეუძლიან უზარალოდ

დარწმუნდეს, რა იაფი და კარგია შემდეგი საქონელი პირდაპირ ჩვენი ქარხნიდან გამოწერილი ქარხნის ფასებით:

**„ინგლისური ტრიკო“**—მეტად მკვიდრი, პრაქტ. და კოხტა მალის მატერია, რბილი მალის ქსოვილი მოხდენილ და დარბაისლურ კაცის ტანისამოსისათვის, შემდეგ ფერისა: შავი, მუქი და ღია ცის-ფერი, მიხაკის ფერი, ზეთის-ხილის ფერი, ენდროს ფერი, სადა რუხი ან ლამაზ უჯრიანი, ზოლიანი და წინწკლებიანი, რომელიც მატერიას აძლევს მეხანიმნავ და ლამაზ სახეს. [illegible] უკანასკნელი მატერიები; კაცის მთელი კასტიუმისთვის 4 არშინი და 1 ჩარექი ღირს: 5 მ. 25 კ., საუკეთესო ღირსებისა—6 მ. 50 კ., „პ რ ი მ ა“-ს სორტისა—8 მ. 40 კ., „ექსტრა“ს სორტისა—10 მ. 50 კ. და 12 მ. 50 კ. ს უ ლ ა ხ ა ლ ი რ ა მ: მატერია „ბოსფორი“ 4 არშინი და 1 ჩარექი—11 მ და 50 კ., „ექსტრა“—14 მ. 50 კ. ვინც სამ ან მეტ ნაჭერს დაიბარებს—უფასოდ მიიღებს სარჩულს.

**ქალებისთვის „ინგლ. კონფექციონი“** ყოველგვარ ფერისა, სადა ან ზოლიანი, წინწკლიანი და უჯრიანი, მეტად პრაქტიკული და კოხტა საქალო კასტიუმებისთვის; ფასი 8 არშინისა (ქალის მთელი კასტიუმისთვის): 4 მ., 5 მ. 60 კ., 6 მ. 75 კ. და 8 მ. 50 კ.

**„ტიროლის ტილო“**—ქალისა და კაცის ნაირ-ნაირი საცვლებისათვის, საუკეთესო თვისებისა, მეტად თეთრი, სქელი და მკვიდრი, სიგანით 20 ვერშოკი; ნაჭერი (24 არშინი) ღირს 5 მ. 50 კ., საუკეთესო თვისებისა 5 მ. და 6 მ. 75 კ.

უზარალოდ ვისაც საქონელი არ მოეწონება, ფულს უბრუნებთ. ჩალაგება და გაგზავნა ფირმის ხარჯით. ფასის დადებით გაგზავნაში მანეთზე ემატება 2 კ., ხოლო ციმბირში—მეტი წონისა. მეკვეთილ საქონელს უმალვე ვგზავნით.

ადრესი: Фабрика Т-ва Суконно-Шерстяной мануфактуры. Г. Лодзь. N 18.

კარგ საქონლისათვის ფირმას ჯილდოები აქვს მიღებული რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოფენებზე. (3—ფ.—2)

## პროვოდნიკის

1897 წ. 1888

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Ф. ПРОВОДНИК РИГА

1908 წ

## ამხანაგობა

რიგაში

სატაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნარდად და ცალობით:**

**ლინოლეუმი**, ავარდენი, ერთფეროვანი და უხორგებიანი,

**ასბესტის კარტონი,**

**ასბესტის და ტალკის ნაირება**

## ახალი რამ:

„**საუკეთესო**“ ლინოლეუმი უხორგებით, რომელიც მეორე მხარეს აკრავს გადის და რომელიც თვითონ ლინოლეუმზე გაცვეთამდე არ იცვლება.

**ლინკრუსტა** (სიუკენი შპალერი) ნაირ-ნაირი უხორგებით, საუკეთესო თვალისთვის და საუკეთესო გეოლოგიისთვის.

## ცალობით ვაჭრობა დიდ-მიწურ საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა